

თქვენი აფხაზეთი!
A4



ავიაკატასტროფა ვენესუელაში
A5



მეშვიდე ცა ანუ ჯოჯოხეთის მეშვიდე წრე?
A7

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 17 აგვისტო, 2005 წელი. №187 (1047)

ფასი 50 თეთრი

## ამბები
### ფრინველის გრიპი საქართველოსკენ მოიწევს

რუსეთის მთავარი სანიტარული ექიმის, გენადი ონიშჩენკოს თქმით, ფრინველის ვირუსი შემოდგომაზე ასტრახანის, როსტოვის, ვოლგოგრადის ოლქებში და სტავროპოლის და კრასნოდარის მხარეებში შეაღწევს.

A2

## ამბები
### მუნიციპალური ფონდის ბედი მერიაში მიმდინარე რეორგანიზაციის ფონზე

მიწისძვრით დაზარალებულთა სარეაბილიტაციო პროგრამის მიხედვით, რომელიც თბილისის მთავრობამ გასული წლის ბოლოს შეიმუშავა, სამ წელიწადში თბილისში ავარიული სახლების რაოდენობა საგრძნობლად უნდა შემცირდეს.

A2

## სპორტი
### ალმათური ამბები: ახალგაზრდებმა მოიგეს, ჯერი უფროსებზეა

გუშინ ჩვენმა 21-წლამდელებმა ალმათიში მასპინძელ თანატოლებთან ითამაშეს და მინიმალური ანგარიშით, 1:0 გაიმარჯვეს.

A6

## რევიუ
### პირადად ამერიკის პრეზიდენტისა და სახელმწიფო მდივნისგან

ესმა ონიანის დას, ირინე ონიანს კეთილი ჟესტის გამო - საჩუქრად ქართველი მხატვრის კატალოგის გადაცემისთვის, სამადლობელი წერილებიც მოწერეს.

A7

## ამინდი

| | 16/08 | 17 /08 |
|---|---|---|
| თბილისი | 38 ☼ | 38 ☼ |
| ყვარელი | 38 | 38 |
| სოხუმი | 38 | 39 |
| დმანისი | 32 ☼ | 33 ☼ |
| გორი | 35 ☼ | 35 |
| ონი | 32 ☼ | 31 ☼ |
| ზუგდიდი | 42 | 43 |
| ახმეტა | 37 ☼ | 37 ☼ |
| გაგრა | 35 | 36 |
| სამტრედია | 41 | 42 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8025 |
| ევრო | 2.2346 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2703 |
| რუბლი | 0.0635 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| მეტი ყურადღება | A 4 |
| უცხოეთი | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


# არალეგალური მიგრაცია - კრიმინალის ექსპორტი

## მსოფლიო ბრძოლას უცხადებს ტრანსნაციონალურ დანაშაულს

ინგა ალავიძე

*"ჩვენ, მონა-არალეგალები, საკუთარი ნებით მივდივართ მონობაზე," - ეს ფრაზა ერთ-ერთ არალეგალს ეკუთვნის, ადამიანს, რომელიც გაჭირვებამ ლუკმა-პურის საშოვნელად, საკუთარი ქვეყნიდან უცხოეთში გააქცია. გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მონაცემებით, 2004 წლის 1 იანვრისთვის მსოფლიოში აღრიცხული იყო 17 მილიონი ლტოლვილი და თავშესაფრის მაძიებელი. იმავე მონაცემებით, ამ 17 მილიონიდან 6 მილიონზე მეტი აზიის რეგიონზე მოდის, რაც, სხვა რეგიონებთან შედარებით, ძალზე მაღალი მაჩვენებელია.*




გაგრძელება A3 გვერდზე

# ბათუმის ნავსადგური

## "მიშველი ხელებით" დაცული საზღვრისა და ჟანგიანი სასწორის ფონზე

გიორგი ჯანელიძე
*სპეციალურად „24 საათისთვის"*

*სოჭში გამგზავრებას ვაპირებდი. ერთკვირიანი მოგზაურობისთვის მზადება კი ივნისის პირველ რიცხვებში დავიწყე. რუსეთის ვიზის მოლოდინში უმოკლესი გზის ძებნის პროცესმა დიდხანს გასტანა. საბოლოოდ, "კომეტაზე" შევჩერდი, რომელიც ყოველკვირეულ ტრადიციულ რეისს (ბათუმი-ფოთი-სოჭი) ასრულებს...*
*ბათუმის ნავსადგურში ინფორმაციის მისაღებად დავრეკე. ყურმილი ხნიერმა ქალბატონმა აიღო და რუსულად წარმიდგინა თავი. რუსული ენისადმი ჩემი დიდი პატივისცემის მიუხედავად, "გამახსენდა", რომ ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფო ენა ქართულია (ყოველ შემთხვევაში, საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლი ასე განგვიმარტავს). ჩემს კითხვაზე, შეეძლო თუ არა მას ინფორმაციის ქართულ ენაზე გაცემა, ნავსადგურის მოლარემ შემომთავაზა, ქართულად გამეგრძელებინა საუბარი, ის კი რუსულად მიპასუხებდა. მოკლედ, ამ "ვაჭრობაში" რამდენიმე წუთი გავიდა; მეც ბედს შევეგუე და ბილეთი 12 ივლისისთვის რუსულ ენაზე დავჯავშნე.*



*ბათუმის ნავსადგურში სამგზავრო ნაკადები გაიზარდა და ამიტომაც საზღვრის კონტროლი თანამედროვე ტექნოლოგიებით უნდა განხორციელდეს.*

გაგრძელება A3 გვერდზე

# ცალმხრივი დაშორიშორების დაწყებას შეტაკებები მოჰყვა

თიკო მაჭარაშვილი

*ღაზას სექტორიდან ებრაული დასახლებების ევაკუაცია ორშაბათს დაიწყო, მაგრამ როგორც ისრაელის თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, ამ ტერიტორიებს პალესტინელები კიდევ ერთი თვის განმავლობაში ვერ დაიკავებენ. გუშინ ისრაელის ახალშენების დანგრევას პოლიციასა და ევაკუაციის მოწინააღმდეგეთა შორის შეტაკებაც მოჰყვა.*

ისრაელის თავდაცვის მინისტრმა შაულ მოფაზმა განაცხადა, რომ პალესტინელები ღაზას სექტორის ევაკუირებულ ტერიტორიებს ვერ დაიკავებენ ერთი თვის განმავლობაში.

გაგრძელება A5 გვერდზე



*სიმშვიდე დაცული იქნება*

# ერთიანი ეროვნული გამოცდების პირველადი შედეგები

*გუშინ ტოვსტონოგოვის ქუჩის ორ ნომერში ერთიანი ეროვნული გამოცდების სარეგისტრაციო ცენტრში გამოცდების შედეგები გამოქვეყნდა. რაიონების მიხედვით, საიდენტიფიკაციო კოდით აბიტურიენტებმა თითოეულ საგანში მიღებული ქულები და რიგითი ნომერი ნახეს. რიგითი ნომერი მიუთითებს მის ადგილს აბიტურიენტთა სრულ ჩამონათვალში. რაც შეეხება ქულებს, პირველ სვეტში მითითებულია საგამოცდო საგანში "ნედლი" ქულა, და მის გვერდით სკალირებული. მაგ. ქართული ენა და ლიტერატურა: 85-172. 85 - ნედლი ქულაა, ხოლო 172 - სკალირებული.*

### საერთო რეიტინგულ სიაში აბიტურიენტის ადგილის განსაზღვრის წესი - სკალირება

ერთიანი ეროვნული გამოცდების ძირითადი მიზანია აბიტურიენტთა ცოდნისა და უნარების **ობიექტური, სამართლიანი** და **უნიფიცირებული** შეფასება. ამ მიზნის მისაღწევად შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა გამოიყენა ტესტოლოგიასა და ფსიქომეტრიაში დამკვიდრებული მეთოდი - სკალირება.

ეს მეთოდი საშუალებას გვაძლევს, მეცნიერული სიზუსტით შევადაროთ ერთმანეთს აბიტურიენტთა მიერ სხვადასხვა საგანში მიღებული ქულები.

ამისთვის, პირველ ეტაპზე მოხდა იმ აბიტურინტთა მიერ მიღებული ქულების შედარება, რომელთაც კონკრეტული საგამოცდო ტესტის სხვადასხვა ვარიანტი შეასრულეს, ხოლო მეორე ეტაპზე - თითოეულ საგამოცდო საგანში მიღებული ქულები საერთო სტანდარტულ სკალაზე განთავსდა.

### პირველი ეტაპი - აბიტურიენტების მიერ საგამოცდო ტესტის სხვადასხვა ვარიანტში მიღებული ქულების ერთმანეთთან შედარება

სირთულის თვალსაზრისით, ტესტის ვარიანტებს შორის უმნიშვნელო განსხვავებაც კი აბიტურიენტებს არათანაბარ პირობებში აყენებს.

წარმოვიდგინოთ, რომ: ორმა აბიტურიენტმა დაწერა სირთულით განსხვავებული ერთი და იგივე ტესტის (მაგ. მათემატიკის) ორი განსხვავებული ვარიანტი. ორივემ მიიღო 65 ქულა. შეიძლება თუ არა ვთქვათ, რომ ეს ქულები ეკვივალენტურია და ზუსტად ასახავს აბიტურიენტთა მიღწევებს? ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ აბიტურიენტს რომელმაც 65 ქულა მიიღო რთულ ტესტში, უფრო მეტი ცოდნა და უნარი გააჩნია, ვიდრე იმ აბიტურიენტს, რომელმაც შედარებით მარტივ ტესტში იგივე ქულა დაიმსახურა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# თეა თუთბერიძე შიდა ქართლის პოლიციას დანაშაულში ამხელს

*არასამთავრობო ორგანიზაცია "თავისუფლების ინსტიტუტი" შიდა ქართლის სამხარეო შს სამმართველოსა და პროკურატურას დაკავებულთა უფლებების უხეშ დარღვევაში და შანტაჟში ადანაშაულებს.*

გუშინ "თავისუფლების ინსტიტუტის" ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე ორგანიზაციის წარმომადგენელმა თეა თუთბერიძემ განაცხადა, რომ გუშინწინ, დაახლოებით, 14.00 საათზე ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შენახვის ფაქტთან დაკავშირებით შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის შენობაში 12 ადამიანი მიიყვანეს. თუთბერიძის თქმით, 10-12 საათის განმავლობაში დაკავებულებთან ადვოკატები და სახალხო დამცველის წარმომადგენლები არ შეუშვეს, რაც კანონის მოთხოვნის სრული იგნორირებაა.

**"თავისუფლების ინსტიტუტის" საქმეში ჩართვიდან რამდენიმე საათში 12 დაკავებულიდან ექვსი გაუშვეს, ოთხის რეგისტრაციაში გატარება მოახერხეს, ხოლო ორი, რომელთა დარეგისტრირებაც ვერ მოასწრეს, სამხარეო პოლიციის უფროსის კაბინეტში გადამალეს"**, - აღნიშნა თუთბერიძემ.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ტერაქტის მოწყობაში ბრალდებული აფეთქების ორგანიზატორებად დჰს-ს ოფიცრებს ასახელებს

*გუშინ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ვიდეოჩანაწერი, რომელიც გორის ტერაქტის მოწყობაში ბრალდებულის აღიარებით ჩვენებას ასახავს. გიორგი ზასიევი თავის ნაამბობში ტერაქტის დამგეგმავ სტრუქტურებსა და კონკრეტულ პირებს ასახელებს. მის აღიარებაში ჩნდება სახელგანთქმული დპს - მთავარი სადაზვერვო სამმართველო - ძლევამოსილი საბჭოური სპეცსამსახურის მემკვიდრე, რუსეთის სამხედრო დაზვერვის მთავარი სამსახური, რომელსაც წლების მანძილზე საქართველოში განვითარებული არაერთი ნეგატიური მოვლენის დაგეგმვასა და განხორციელებაში ედებოდა ბრალი.*

1 თებერვალს, შუადღისას, გორში, ჭავჭავაძის ქუჩაზე, შიდა ქართლის შინაგან საქმეთა სამხარეო პოლიციის მთავარი სამმართველოს შენობასთან თეთრი ფერის "ვაზ 21011" მარკის ავტომანქანის აფეთქების შედეგად სამი ადამიანი დაიღუპა და 30-ზე მეტმა სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანებები მიიღო. ტერაქტის ორი მონაწილის - გიორგი ზასიევისა და გიორგი ვალიევის დაკავება ქართველმა სამართალდამცველებმა ერთი თვის წინ, მომხდარიდან, თითქმის, ექვსი თვის შემდეგ შეძლეს. დააკავეს ასევე იოსებ კოჩიევი, რომელმაც შეიძინა მანქანა, რომლის საშუალებითაც ტერაქტი განხორციელდა.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ფრინველის გრიპი საქართველოსკენ მოიწევს

თამარ მაისურაძე

"ფრინველის გრიპმა" ციმბირიდან, შესაძლოა, კავკასიაშიც შემოაღწიოს. რუსეთის მთავარი სანიტარული ექიმის, გენადი ონიშჩენკოს თქმით, ფრინველის გრიპის შემთხვევებმა ნოვოსიბირსკის, ომსკის, ტიუმენის, ვოლგოგრადის ოლქებში და სტავროპოლის მხარეში იჩინა თავი. **"ფრინველთა მიგრაციის გზის ანალიზი გვაჩვენებს, რომ შემოდგომაზე ვირუსი კასპიისა და შავი ზღვის რაიონებში გავრცელდება. ფრინველები თბილი ქვეყნებისკენ სწორედ ამ ტერიტორიების გავლით მიფრინავენ. ფრინველის გრიპმა აზერბაიჯანში, ირანში, ერაყში, საქართველოში, უკრაინასა და ხმელთაშუაზღვისპირეთში შეიძლება შეაღწიოს,"** - განაცხადა ონიშჩენკომ.

"ფრინველის გრიპის" ვირუსით ადამიანების დაავადების შემთხვევები 2004-2005 წლებში სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში, ძირითადად, ვიეტნამსა და ტაილანდში აღირიცხა.

ამჟამად, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციას არ გააჩნია მტკიცებულება ინფექციის ადამიანიდან ადამიანზე გადაცემის შესახებ. ამ დაავადების მიზეზია ცოცხალ, დაავადებულ შინაურ ფრინველთან მჭიდრო კონტაქტი ან თერმულად დაუმუშავებელი ფრინველის საკვებად მიღება (მაგალითად, ვიეტნამში ბატის სისხლის დალევის ტრადიცია არსებობს). აღნიშნულის გამო, აიკრძალა ცოცხალი ფრინველის ბაზრობების გამართვა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ქვეყნის მთავრობამ დააწესა სავაჭრო შეზღუდვა, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ დამუშავებული ფრინველის ხორცი (როგორც გაყინული, ასევე მოთუშული) და კვერცხი, მოწოდებული იმ ქვეყნებიდან, სადაც მიმდინარეობს ეპიზოოტია (ეპიდემია ცხოველებში), არ წარმოადგენს რისკს საზოგადოების ჯანმრთელობისათვის.

ცნობილია, რომ გრიპის ვირუსი ადვილად ნადგურდება გაცხელების დროს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სპეციალისტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მეტად მნიშვნელოვანია შინაურ ფრინველთან შეხების შემდეგ ხელების ზედმიწევნით დაბანა.

**"თუ ადამიანს დაავადებულ ფრინველთან აქვს უშუალო კონტაქტი, არის იმის საშიშროება, რომ ეს ვირუსი შეეყაროს. საქართველოში ფრინველის ვირუსის გავრცელება თეორიულად გამორიცხული არ არის, თუმცა, პირველ რიგში, იგი ეკონომიკურადაა საშიში, რადგან მეფრინველეობას მიაყენებს დიდ ზარალს. ამ გრიპით ადამიანები იშვიათად ავადდებიან. მაგალითად, ვიეტნამში, სადაც ასეული მილიონი ქათამი დახოცეს, მხოლოდ 117 კაცი იყო ფრინველის გრიპით დაავადებული,"** - გვითხრა დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელმა პაატა იმნაძემ.

როგორც ვეტერინარიის დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი დემნა ხელაია აღნიშნავს, ვირუსის გადამტანი გადამფრენი ფრინველებია, მათი მარშრუტი კი, წესით, საქართველოს გვერდს უნდა უვლიდეს. პარალელურად, საქართველო ეპიზოოტიის საერთაშორისო ბიუროშია გაწევრიანებული, რომელიც თავის წევრ ქვეყნებს ეპიზოოტური თვალსაზრისით ნებისმიერი საშიშროების შესახებ ატყობინებს. შესაბამისად, ინფორმაცია ზოგიერთი ქვეყნიდან ფრინველის ხორცის იმპორტის აკრძალვასთან დაკავშირებით ბიურომ საქართველოს ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ შეატყობინა. მარტის თვიდან, იმ ქვეყნებიდან, სადაც ვირუსია გავრცელებული, საქართველოში იმპორტი არ განხორციელებულა. "ფრინველის გრიპის" გავრცელების გამო, ქათმის პროდუქტების შემოტანა აკრძალულია რუსეთიდანაც.

ახალი ვირუსი იმითაა საშიში, რომ ამ გრიპის მიმართ ადამიანებს იმუნიტეტი არ აქვთ.

## მუნიციპალური ფონდის ბედი მერიაში მიმდინარე რეორგანიზაციის ფონზე

*მიწისძვრით დაზარალებულთა სარეაბილიტაციო პროგრამის მიხედვით, რომელიც თბილისის მთავრობამ გასული წლის ბოლოს შეიმუშავა, სამ წელიწადში თბილისში ავარიული სახლების რაოდენობა საგრძნობლად უნდა შემცირდეს. აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში კი ლომის წილი მუნიციპალურმა ფონდმა უნდა შეიტანოს. თუმცა, მუნიციპალური ფონდის განვითარებისთვის ქალაქის წლევანდელ ბიუჯეტში გათვალისწინებული 10 მილიონი დღემდე აუთვისებლად დევს.*

ნანა ქადაგიშვილი

ბოლო მონაცემებით, თბილისში მიწისძვრის შედეგად 22 ათასი სახლია დაზიანებული. მათ აღდგენას 300 მილიონი ლარი სჭირდება. 22 ათასიდან განსაკუთრებით ავარიული 4 ათასი მაინც იქნება. მიწისძვრით დაზარალებულთა სარეაბილიტაციო პროგრამის მიხედვით, ამ 4 ათასი შენობის აღდგენა სამ წელიწადში უნდა მოესწროს. როგორც კომპეტენტური პირები აცხადებენ, ამ პრობლემის მოსაგვარებლად ერთ-ერთი საუკეთესო გამოსავალი მუნიციპალური ფონდის შექმნაა.

ფონდის შესაქმნელად რამდენიმე ვარიანტი არსებობს. მშენებლობაში თანხის ნაწილს ინვესტორი დებს, ნაწილს - სახელმწიფო. შემდეგ კი თანადაფინანსების პრინციპით აშენებულ შენობებს იყოფენ. ან სახელმწიფო ინვესტორს გარკვეული შეღავათების ხარჯზე დააინტერესებს, სანაცვლოდ მიღებული შენობებით კი მუნიციპალურ ფონდს შეავსებს.

**"ქალაქის მთავრობას ამ საკითხებზე წინა წლებში რომ ემუშავა, დღეს 500-600 ბინა მაინც ექნებოდა,"** - აცხადებდა ყოფილი საბინაო მეურნეობის სარეაბილიტაციო ცენტრის ხელმძღვანელობა. ქალაქის პრემიერი თემურ ქურხული კი ჯერ კიდევ წლის დასაწყისში ამბობდა, რომ ერთობლივი მშენებლობის პრინციპმა ბევრი ინვესტორი დააინტერესა. სხვათა შორის, ორთაჭალაში, რესტორან "ასტორიას" მახლობლად დაგეგმილი უზარმაზარი საცხოვრებელი უბნის მშენებლობა მუნიციპალური ფონდის შექმნის პირველი მცდელობა იქნება. აღნიშნული ტერიტორიის (65 ჰექტარი ფართის) 75 პროცენტი მუნიციპალიტეტის საკუთრებაა, ნაწილი კი - სამშენებლო კომპანიებს ("არსი", "ევრა") ეკუთვნის. თუმცა, ინვესტორების მოძებნა-დაინტერესებამდე ჯერ მუნიციპალური ფონდის განვითარების ფორმის შერჩევაა საჭირო. განსაკუთრებით, ქალაქის ისტორიულ ნაწილში, სადაც მრავალსართულიანი სახლების აშენება იკრძალება და ინვესტორის დაინტერესება ძნელია. ეს ყველაფერი სპეციალური პროგრამით უნდა განისაზღვროს. ასეთი პროგრამა კი დღემდე არ არსებობს.

როგორც ქალაქის პრემიერმა განგვიცხადა, მუნიციპალური ფონდის განვითარების პროგრამის შემუშავება მთავრობამ, თავის დროზე, ურბანული დაგეგმარების სამსახურის კაპმშენებლობის განყოფილებას დაავალა. სამსახურში კი გვიმტკიცებენ, რომ მსგავსი დავალება მათ არ მიუღიათ. ასეა თუ ისე, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, ბოლო დროს მიმდინარე რეორგანიზაციის ფონზე, აღნიშნული პროგრამისთვის, მით უმეტეს, არავის ეცალა. რეორგანიზაციის დასრულების შემდეგ გასამართლებელი მიზეზი აღარ რჩება. ქალაქის პრემიერი აცხადებს, რომ მუნიციპალური ფონდის განვითარების პროგრამის შემუშავებას ხელს უკვე ველარაფერი შეუშლის.

## აფხაზი პატიმრები რუსეთში მოიხდიან სასჯელს

აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის მსჯავრდებულები უახლოეს მომავალში სასჯელს რუსეთში, ვლადიმირის ოლქის ციხეებში მოიხდიან. თვითაღიარებული რესპუბლიკის ციხეებში მყოფი პატიმრების ვლადიმერის ოლქის ციხეებში ეტაპირების შესაძლებლობა აფხაზეთის დე-ფაქტო პარლამენტის თავმჯდომარის ნუგზარ აშუბას ქალაქ ვლადიმირში ვიზიტისას იქნა განხილული. აშუბა ვლადიმირში ოლქის საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარის ანატოლი ბობროვის მიწვევით იმყოფებოდა.

"იმის გამო, რომ აფხაზეთის ციხეები ჯერჯერობით ნორმებს არ შესაბამება, ჩვენ მსჯავრდებულთა ვლადიმერის ციხეებში ეტაპირების შესაძლებლობა განვიხილეთ და გადაწვეტილების მიღების გზებიც დავსახეთ", - განაცხადა სოხუმში დაბრუნებულმა აშუბამ. მისივე თქმით, უახლოეს ხანებში აფხაზეთსა და ვლადიმირის ოლქებს შორის თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება გაფორმდება, რომელშიც აფხაზეთის მსჯავრდებულთა ვლადიმერის ოლქის ციხეებში ეტაპირების საკითხებთან დაკავშირებული პრობლემატიკა აისახება. **ინტერპრესნიუსი**

### საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება

**16.08.2005 N1-1/927**

შპს "კოლხეთის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილის პრივატიზების მიზნით გამოცხადებულ აუქციონში განაცხადების მიღების ვადის გაგრძელებისა და აუქციონის ჩატარების თარიღის დადგენის შესახებ

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**

1. შპს "კოლხეთის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილის პრივატიზების მიზნით 15.07.05წ. N1-1/857 ბრძანებით გამოცხადებულ აუქციონში განაცხადების მიღების ბოლო ვადად დადგენილ იქნას 2005 წლის 1 სექტემბერი (14.00სთ-დან 17 სთ-მდე), ხოლო აუქციონის ჩატარების თარიღად - 2005 წლის 2 სექტემბერი (16.00 სთ).

*ირაკლი ჩოგოვაძე*

## ერთიანი ეროვნული გამოცდების პირველადი შედეგები

პირველი გვერდიდან

ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად მიმართავენ თითოეული საგნის საგამოცდო ტესტის სხვადასხვა ვარიანტის ერთმანეთთან შედარების კუმულაციური ქულის განსაზღვრას: ყოველი აბიტურიენტის ადგილის (რეიტინგის) დადგენა იმ აბიტურიენტებს შორის, რომელთაც ტესტის ერთი და იგივე ვარიანტი შეასრულეს;

ერთი საგამოცდო საგნის სხვადასხვა ვარიანტში აბიტურიენტების მიერ მიღებულ ქულებს შორის შესაბამისობის დადგენა დაგროვებული ქულების მიხედვით.

მაგალითი:

დავუშვათ, ინგლისური ენის ტესტის I ვარიანტში აბიტურიენტმა მიიღო 70 ქულა.

პირველ რიგში, განისაზღვრება აბიტურიენტის რეიტინგი მათ შორის, ვინც საგამოცდო ტესტის ეს ვარიანტი შეასრულა. ვთქვათ, სტატისტიკური ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ საგამოცდო საგნის ამ ვარიანტში 70 ქულაზე ნაკლები მიიღო აბიტურიენტთა 80 პროცენტმა, მაშინ - 70 ქულის შესაბამისი კუმულაციური ქულა ამ კონკრეტული ვარიანტისათვის 80-ის ტოლია.

იმისათვის, რომ გავაიგივოთ აბიტურიენტების მიერ I და II ვარიანტებში მიღებული ქულები, აუცილებელია ამ ვარიანტების საერთო სკალაზე განთავსება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ვპოულობთ იმ ქულას, რომელსაც II ვარიანტში იგივე კუმულაციური ქულა (80) შეესაბამება. დავუშვათ, ეს ქულა აღმოჩნდა 72-ის ტოლი. ასეთ შემთხვევაში, I ვარიანტში მიღებული 70 ქულა და II ვარიანტში მიღებული 72 ქულა ეკვივალენტურად ჩაითვლება. ამ ქულების გაიგივებას განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ თითოეულმა აბიტურიენტმა თავის ვარიანტში აბიტურიენტთა 80 პროცენტზე უკეთესად შეასრულა ტესტი.

როგორც ვხედავთ, ამ პროცედურით ხდება საგამოცდო ტესტის სხვადასხვა ვარიანტში მიღებულ ქულებს შორის შესაბამისობის დადგენა, ანუ მათი გაიგივება. ამგვარი მიდგომა ტესტის ვარიანტებს შორის სირთულის თვალსაზრისით არსებული უმნიშვნელო განსხვავებების შემთხვევაშიც მაქსიმალური სამართლიანობის საშუალებას იძლევა.


ლევან ხერხეულიძის ფოტო

*გუშინ ტოვსტონოგოვის ქუჩის ორ ნომერში ერთიანი ეროვნული გამოცდების სარეგისტრაციო ცენტრში გამოცდების შედეგები გამოქვეყნდა.*

### მეორე ეტაპი - საკონკურსო ქულის განსაზღვრა

სკალირების პროცედურას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საკონკურსო ქულის განსაზღვრისას. იგი სხვადასხვა საგამოცდო საგანში მიღებული ქულების ერთიან სკალაზე განთავსების საშუალებას იძლევა. ამ მიზნით, თითოეული საგამოცდო საგნისათვის ითვლება საშუალო ქულა და სტანდარტული გადახრა, შემდეგ კი თითოეული აბიტურიენტისათვის ე.წ. Z ქულა.

Z ქულა გვიჩვენებს თუ რამდენი სტანდარტული ერთეულით მეტი ან ნაკლებია ესა თუ ის კონკრეტული ქულა საგამოცდო საგნის საშუალო ქულაზე.

სტანდარტული ერთეული ( Z ) განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$Z=(X-M)/SD$. სადაც: X - გაიგივების შედეგად მიღებული ქულაა;

M - კონკრეტული საგამოცდო საგნის საშუალო ქულა;

SD - სტანდარტული გადახრაა.

ყველა საგამოცდო საგანში მიღებული ქულების ერთიან სკალაზე განთავსება ხდება წრფივი გარდაქმნის საშუალებით. ამ მიზნით ვიღებთ სტანდარტულ სკალას, სადაც ყველა საგამოცდო საგნისათვის სტანდარტული გადახრა SD=15, ხოლო საშუალო ქულა M=150. თითოეულ საგამოცდო საგანში აბიტურიენტთათვის განსაზღვრული Z ქულები გადაგვყავს ამ სტანდარტულ სკალაზე შემდეგი ფორმულის საშუალებით:

საკონკურსო ქულა= 15 x Z+ 150.

სწორედ ამ საკონკურსო ქულით მონაწილეობს აბიტურიენტი, როგორც სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოსაპოვებელ, ასევე მომავალ სტუდენტთა შესარჩევ კონკურსში.

შედეგების გაცნობისას ყურადღება მიაქციეთ: კონკრეტული საგნისათვის გამოყოფილ სვეტში მითითებულია აბიტურიენტის მიერ მიღებული ქულა და ამ ქულის შესაბამისი სკალირებული ქულა;

ბოლო სვეტში მოყვანილია აბიტურიენტის რიგითი ნომერი რეიტინგულ სიაში. რიგითი ნომერი განსაზღვრავს აბიტურიენტის ადგილს მხოლოდ სახელმწიფო სასწავლო გრანტისათვის გამოცხადებულ კონკურსში;

თუ აბიტურიენტმა რომელიმე საგამოცდო საგანში ვერ გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (15 ქულა), მაშინ ამ საგნის შესაბამის სვეტში აბიტურიენტის საიდენტიფიკაციო ნომრის გასწვრივ სკალირებული ქულა მითითებული არ არის და, შესაბამისად, იგი მონაწილეობას არ იღებს სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოსაპოვებელ კონკურსში;

თუ აბიტურიენტი არ გამოცხადდა ერთ-ერთ გამოცდაზე ან მოიხსნა რომელიმე გამოცდიდან, მაშინ საიდენტიფიკაციო ნომრის გასწვრივ შესაბამისი გრაფა ცარიელია.

ამ შემთხვევაშიც, იგი მონაწილეობას არ იღებს სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოსაპოვებელ კონკურსში;

თუ აბიტურიენტმა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ვერ გადალახა მხოლოდ მათემატიკაში, არ გამოცხადდა გამოცდაზე ან მოიხსნა გამოცდიდან, და სპეციალობათა რეიტინგულ ჩამონათვალში მითითებული აქვს ისეთი სპეციალობაც, სადაც მათემატიკის ჩაბარება არ მოეთხოვება, აბიტურიენტი მონაწილეობს ამ კონკრეტულ სპეციალობაზე ჩასარიცხ კონკურსში.

### აპელაცია

იმ შემთხვევაში, თუ აბიტურიენტი გადაწყვეტს, გაასაჩივროს ამა თუ იმ საგანში/საგნებში მიღებული ქულა, სარეგისტრაციო პუნქტში მან უნდა შეავსოს სპეციალური სააპელაციო განაცხადის ფორმა. სააპელაციო განაცხადის შესატანად აუცილებელია შესაბამისი საბანკო გადარიცხვის (30 ლარი თითოეულ საგანზე)

წარდგენა. სააპელაციო განაცხადების შეტანის ბოლო ვადაა პარასკევი, 19 აგვისტო, 18:00. საბანკო გადარიცხვა ხორციელდება შემდეგ საბანკო ანგარიშზე:

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი.

ა/ნ 133531

სს "ბაზის ბანკი"

კოდი: 220101956.

აქვე შევნიშნავთ, რომ აპელაციის შედეგებმა, შესაძლოა, უმნიშვნელოდ შეცვალოს აბიტურიენტების სკალირებული ქულები და, შესაბამისად, მათი რიგითი ნომრებიც რეიტინგულ სიაში. "სააპელაციო" სამსახურის დასრულების შემდეგ საბოლოო შედეგები - გვარ-სახელებითა და ფაკულტეტებით, სექტემბრის პირველ რიცხვებში გამოქვეყნდება.

## თეა თუთბერიძე შიდა ქართლის პოლიციას დანაშაულში ამხელს

პირველი გვერდიდან

მისივე თქმით, "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენლები გორში მდებარე სამხარეო პოლიციის შენობაში, დაახლოებით, 02.00 საათზე შევიდნენ და შემთხვევით აღმოაჩინეს ის ორი დაკავებული, რომლებიც შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსის ვლადიმერ ჯუღელის კაბინეტში იმყოფებოდნენ. თუთბერიძის ინფორმაციით, ვლადიმერ ჯუღელმა და შიდა ქართლის სამხარეო პროკურორმა მიხეილ აბულაძემ "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელთა თვალწინ დაკავებულებზე პირდაპირი ზეწოლა მოახდინეს, რათა სახალხო დამცველის და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს არ გასაუბრებოდნენ.

**"მისმა ქმედებამ ყოველგვარ ზღვარს გადააბიჯა და ჩემი და სახალხო დამცველის წარმომადგენლის თანდასწრებით ამ პირების მიმართ მუქარაზე და შანტაჟზე გადავიდა. მან აიძულა დაკავებულები, ეთქვათ, რომ სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან შეხვედრის სურვილი არ ჰქონდათ "**, - განაცხადა თუთბერიძემ.

როგორც თეა თუთბერიძემ განმარტა, პოლიციის ვერსიით, დაკავებულთა უმრავლესობა პოლიციის შენობაში მოწმის სტატუსით იმყოფებოდა. ამ დროისთვის 12 დაკავებულიდან რვა გათავისუფლდა, ხოლო ოთხი ისევ პატიმრობაში რჩება.

**"გუშინ გორში მომხდარი ინციდენტის შესახებ შს სამინისტროს გენერალური ინსპექციისა და გენერალური პროკურატურის ცხელი ხაზის მორიგეს უკვე ეცნობა. თუმცა, მომხდარს სათანადო რეაგირება ჯერ არ მოჰყოლია"**, - აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბრისას თეა თუთბერიძემ.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით საწინააღმდეგო პოზიცია აქვთ შიდა ქართლის სამართალდამცველებს, რომელთა მტკიცებით, მათი მხრიდან კანონის დარღვევას ადგილი არ ჰქონია; მეტიც, "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენლის განცხადებების საპასუხოდ, პოლიციამ გუშინვე გამოაქვეყნა ოპერატიული ვიდეომასალა, სადაც დაკავებულ პირთა დანაშაულის აღიარებაა დაფიქსირებული. სამართალდამცველთა მტკიცებით, აღნიშნული პირები ყაჩაღობის ბრალდებით იყვნენ დაკავებულები.

მიუხედავად ამისა, "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენლები შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსისა და პროკურორის პასუხისმგებლობის საკითხის დასმას მოითხოვენ.

**24 საათი**

## ტერაქტის მოწყობაში ბრალდებული აფეთქების ორგანიზატორებად დპს-ს ოფიცრებს ასახელებს

პირველი გვერდიდან

გორის ტერაქტი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა გახსნილად 25 ივლისს გამოაცხადა. როგორც მან აღნიშნა, ვალიევისა და ზასიევის დაკავების სპეცოპერაცია 17 ივლისს ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე ჩატარდა.

აღსანიშნავია, რომ გორის ტერაქტის განხორციელებისთანავე გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, მასში სხვა ქვეყნის სპეცსამსახურების ხელი ერია. ბოლო წლების მანძილზე ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როცა საქართველოში მომხდარი ტერორისტულ-დივერსიული აქტების კვალი სხვა ქვეყნის სპეცსამსახურებისკენ მიდიოდა. თუმცა, გორის ტერაქტი პირველი შემთხვევა აღმოჩნდა, როცა ქართველმა სამართალდამცველებმა, პრაქტიკულად, მოახერხეს საქმის რეალური გახსნა და იმ "რუსული კვალის" გამოვლენა, რომელმაც საქართველოში სხვა ტერაქტებიც განახორციელა.

ვალიევისა და ზასიევის დაკავებიდან რამდენიმე დღეში შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომელშიც დეტალურად იყო აღწერილი რუსული სპეცსამსახურების მიერ საქართველოში ტერაქტების დაგეგმვისა და განხორციელებისთვის ჩატარებული სამუშაო; კერძოდ, ჯერ კიდევ ორი კვირის წინ გახდა ცნობილი, რომ 2004 წლის ივნისში რუსეთიდან ცხინვალში დე-ფაქტო პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის მრჩევლად მიავლინეს რუსეთი თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს (დპს) მაღალჩინოსანი ოფიცერი ანატოლი ივანეს ძე სისოევი, რომელსაც დაევალა სამხრეთ ოსეთში სადაზვერვო-დივერსიულ დანაყოფის ჩამოყალიბება. ანატოლი სისოევის დავალებით, 2004 წლის ოქტომბრის თვეში კოკოითის თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის მთავარი სამმართველოს ერთ-ერთი ქვედანაყოფის ხელმძღვანელმა ანდრეი ზასიევმა, გორში ტერორისტული აქტის განხორციელების მიზნით, შეკრიბა ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ ამავე სამმართველოს თანამშრომლები: გიორგი ვალიშვილი (ვალიევი), არტურ კოზაევი, ვალერი კოზაევი, გიორგი ზასიევი, ალექსანდრე (ლექსო) ბეჟანოვი, ალექსანდრე (ლექსო) ცხოვრებოვი. ტერორისტული აქტის ჩატარება შეთანხმებული იყო რუსეთიდან მოვლინებულ ინსტრუქტორ, ვინმე "იგორთან", რომელიც წვრთნიდა სპეციალურად შექმნილ ტერორისტულ დანაყოფს. შსს-ს ინფორმაციით, ოპერაციის ცენტრთან შეთანხმების მიზნით, "იგორი" 2004 წლის 10 ნოემბრიდან 24 ნოემბრამდე იმყოფებოდა მოსკოვში, საიდანაც ცხინვალში დადებითი პასუხით და ოპერაციის ჩასატარებლად საჭირო ფულით დაბრუნდა.

გუშინ გამოქვეყნებულ ჩვენებებში გიორგი ზასიევი ზედმიწევნით ზუსტად იმეორებს იმ დეტალებს, რომლებიც შინაგან საქმეთა სამინისტრომ ორი კვირის წინ გამოაქვეყნა.

**"2004 წელს ქალაქ ცხინვალში რუსმა ინსტრუქტორებმა მთავარი სადაზვერვო სამმართველო შექმნეს. რუსეთიდან ცხინვალში სამმართველოს წევრების მოსამზადებლად ინსტრუქტორები საგანგებოდ ჩამოდიოდნენ. ასეთი იყო "გრუ"-ს პოლკოვნიკი ანატოლი ივანეს ძე სისოევი, რომელმაც გვასწავლა, როგორ გვესროლა ცეცხლსასროლი იარაღიდან, ყუმბარმტყორცნიდან; აგრეთვე, გვამზადებდა, როგორ მოგვეწყო დივერსიული აქტები. რუსი ინსტრუქტორებიდან ჩემთვის იგორისა და რომას სახელებია ცნობილი, რომლებიც ქალაქ ცხინვალში ცხოვრობდნენ და სამშვიდობო ძალებში მსახურობდნენ. ისინი თავიანთ გვარსა და მამის სახელებს არასდროს ასახელებდნენ"**, - ამბობს გიორგი ზასიევი.

ზასიევის თქმით, სწორედ ამ იგორმა მიიღო მოსკოვიდან დავალება, რათა გორში ტერაქტი დაგეგმილიყო და განხორციელებულიყო.

ცნობილია, რომ ასეთივე ჩვენებები მისცეს სამართალდამცველებს გია ვალიევმა და იოსებ კოჩიევმაც.

**24 საათი**

## ეროვნულმა ბანკმა 200-ლარიანის საუკეთესო დიზაინის გამოსავლენად კონკურსი გამოაცხადა

ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს ინფორმაციით, 200 ლარის ნომინალის ბანკნოტის დიზაინის საუკეთესო ესკიზის გამოსავლენად საქართველოს ეროვნულმა ბანკმა კონკურსი გამოაცხადა, რომელშიც მონაწილეობის მიღება როგორც ქართველ, ასევე უცხოელ მხატვარ-დიზაინერებს შეუძლიათ. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა ნამუშევრები საქართველოს ეროვნულ ბანკში 20 სექტემბრამდე უნდა წარადგინონ. 200 ლარის ნომინალის ბანკნოტის ავერსზე გამოსახული უნდა იყოს საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის პორტრეტი, რევერსზე კი - სოხუმის ხედი. საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის ნიშნების დამზადებასთან დაკავშირებული საქმიანობის მართვის კომისიის გადაწყვეტილებით, კონკურსში წარმოდგენილი ესკიზებიდან სამი შეირჩევა, რომელთა ავტორებიც ფულადი პრემიით დაჯილდოვდებიან. მხატვარ-დიზაინერები ნიკო ნიკოლაძის პორტრეტისა და აფხაზეთის (სოხუმის) ხედის შერჩევისას სრული თავისუფლებით ისარგებლებენ. საქართველოს ეროვნული ბანკი ოფიციალური ინტერნეტ-წარმომადგენლობის მეშვეობით გამოაქვეყნებს ნიკო ნიკოლაძის პორტრეტებსა და სოხუმის ხედების ამსახველ ფოტომასალას, რომელთა გამოყენებაც კონკურში მონაწილე ქართველ და უცხოელ მხატვარ-დიზაინერებს შეეძლებათ. **24 საათი**

## სპეციალისტები ჟინვალჰესის სასწრაფო რეაბილიტაციას მოითხოვენ

*სპეციალისტები და ჰესის მმართველი კომპანია ჟინვალჰესის სასწრაფო რეაბილიტაციის აუცილებლობაზე საუბრობენ. ასეთი განცხადებები პრემიერს აღიზიანებს. ზურაბ ნოღაიდელი მძიმე პროგნოზების გაკეთებისგან და პრესასთან ამ თემის აჟიტირებისგან თავის შეკავებას მოითხოვს.*

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი გუშინ ჟინვალში იმყოფებოდა. ის ჟინვალჰესზე არსებულ ვითარებას გაეცნო. ჰესზე მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი 25 მლნ. ლარით სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს, რომელიც 2006 წლის მარტში დასრულდება. ჟინვალჰესს შპს "ჟინერი" მართავს. ამ კომპანიის წარმომადგენელთან შეხვედრისას პრემიერ-მინისტრს ჰესის დაზიანებული გვირაბის შესახებ აცნობეს, რასაც ზურაბ ნოღაიდელის გაღიზიანება მოჰყვა.

ჰესის დაზიანებული გვირაბის აღსადგენად "ჟინერის" წარმომადგენლები სახელმწიფოსაგან საკრედიტო გარანტიას ითხოვენ. მათი თქმით, არსებობს წყალგამყვანი გვირაბის დანგრევის საფრთხე, რაც ჰესის გაჩერებას გამოიწვევს.

ზურაბ ნოღაიდელმა "ჟინერის" წარმომადგენლებთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ ენერგეტიკის სამინისტროსთვის ჟინვალჰესის გვირაბის დაზიანებაზე არაფერია ცნობილი, ამიტომ "ჟინერის" განცხადებები გვირაბის გაჩერების შესახებ, გადაჭარბებულად ეჩვენება.

"ჟინვალჰესის" წყალგამყვანი გვირაბის 160-მეტრიანი დანგრეული მონაკვეთის სასწრაფო რეაბილიტაციის საკითხი შეხვედრაზე "საქჰიდროენერგოპროექტის" დირექტორმა ანზორ ჭითანავამაც დააყენა. როგორც "ინტერპრესნიუსს" ჭითანავამ განუცხადა, წყალგამყვან გვირაბში 1,5-კილომეტრიანი მონაკვეთია დაზიანებული, აქედან 160 მეტრი კი მთლიანად დანგრეულია. 160-მეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაციას 1,5 მილიონი ლარი სჭირდება.

**"წყალდიდობამ წელს ბოდორის საბუფერო აუზი დააზიანა. მისი რეაბილიტაციის დროს აუცილებელი იქნება ჰესის გაჩერება. ამით უნდა ვისარგებლოთ და გვირაბის დანგრეული მონაკვეთიც აღვადგინოთ,"** - განაცხადა ჭითანავამ.

მისივე თქმით, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა ამ პრობლემის მოგვარება და თანხების მოძიება ენერგეტიკის მინისტრს დაავალა, რომელიც ამჟამად "ჟინვალჰესზე" იმყოფება და ვითარებას ადგილზე ეცნობა.

როგორც ჟინერის რეაბილიტაციის პროექტის დირექტორი ანზორ დუნდუა განმარტავს, გვირაბის რეაბილიტაციისთვის, სავარაუდოდ, 23 მილიონი დოლარია საჭირო. გვირაბის რეაბილიტაციის შემდეგ შესაძლებელი იქნება "ჟინვალჰესის" სრული სიმძლავრით მუშაობა, რაც ენერგოსისტემას დამატებით 60 მეგავატ სიმძლავრეს შემატებს. ჰესის გვირაბი სადგურის ექსპლუატაციაში გაშვების დროს უკვე დაზიანებული იყო. მისი რეაბილიტაციისათვის 23-25 მილიონი დოლარია საჭირო.

**24 საათი**

## დუბაის პროკურატურამ ქართველი პატიმრები გაათავისუფლა

დუბაის პროკურატურამ ფილიპინელი ქალბატონის ძარცვის მცდელობაში ეჭვმიტანილი საქართველოს ოთხი მოქალაქის გათავისუფლების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღო.

ამის შესახებ ერთ-ერთმა გათავისუფლებულმა გოგიტა ჭეჟიამ განაცხადა. იგი ამჟამად დავით ბერაძესთან, დავით თურმანიძესთან და გიორგი დგებუაძესთან ერთად პასპორტების დაბრუნებას ელოდება. ჭეჟიას თქმით, ოფიციალური დოკუმენტების მოწესრიგებისთვის ორდღიანი ვადაა საჭირო, რის შემდეგაც საქართველოში თურქეთის ან აზერბაიჯანის გავლით გამოემგზავრებიან. როგორც გოგიტა ჭეჟიამ განმარტა, საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ უდანაშაულოდ დაკავებული ქართველები ფილიპინელი ქალბატონის წინააღმდეგ საჩივარს შეიტანენ და, რამდენიმედღიანი პატიმრობის გამო, მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურებას მოითხოვენ. 30 ივლისს დუბაიში ფილიპინელი ქალის ძარცვის მცდელობაში ეჭვმიტანილი ხუთი ქართველი - მერაბ გილაძე, გოგიტა ჭეჟია, დავით ბერაძე, დავით თურმანიძე და გიორგი დგებუაძე დააკავეს. ამჟამად პატიმრობაში მხოლოდ მერაბ გილაძე რჩება, რომელმაც ძარცვის მცდელობის დროს ფილიპინელი ქალის სახლში ყოფნის ფაქტი აღიარა. გამოძიების მიხედვით, დანაშაული 29 ივლისს მოხდა. დუბაის პოლიციამ გილაძესთან ერთად დააკავა არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში დუბაი-თბილისის რეისით ჩასული ყველა ის პირი, რომელთა ფიზიკური მონაცემებიც ეჭვმიტანილისას ემთხვეოდა. **ინტერპრესნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# არალეგალური მიგრაცია - კრიმინალის ექსპორტი

პირველი გვერდიდან










არალეგალური მიგრაცია თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ ურთულეს და ჯერჯერობით გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენს. პრობლემას, რომელსაც მსოფლიო ბრძოლას უცხადებს.

არალეგალური მიგრაციის საფუძველი, ძირითადად, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებია. ამ გლობალური მოვლენის არსი, ერთი შეხედვით, უწყინარია - დაბალგანვითარებული ქვეყნის მოქალაქემ იპოვოს ცხოვრებისა და მუშაობის უკეთესი პირობები. სინამდვილეში კი, არალეგალური მიგრაცია სხვადასხვა სახის უკანონო პროცესს წარმოშობს, დაწყებული ჩვეულებრივი კრიმინალით და დამთავრებული ადამიანებით ვაჭრობითა და ტერორიზმით. ამიტომაც არალეგალთა "შეტევის" გამო სერიოზული საფრთხის ქვეშ დამდგარი ევროპის ქვეყნების სამართალდამცველთა უმნიშვნელოვანეს ამოცანას იმპორტირებული კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს.

### საქართველო და არალეგალური მიგრაცია

არალეგალური მიგრაციის აყვავების პროცესში საქართველო წლების წინ ჩაერთო და ამ მიმართულებით საერთაშორისო ასპარეზზე სახელიც კი გაითქვა. შესაბამისად, ბოლო პერიოდში ავსტრიაში, ესპანეთსა და დუბაიში, საქართველოს მოქალაქეების საეჭვო საქმიანობასთან დაკავშირებით, ერთმანეთის მიყოლებით ატეხილ საერთაშორისო სკანდალებში ახალი არაფერი ყოფილა. ის, რომ უცხოეთში წასულ ქართველ არალეგალთა გარკვეული ნაწილი ცუდი რეპუტაციით სარგებლობს, ცნობილი ფაქტია. ამ მხრივ "განსაკუთრებით საშიში ქართველები" (ავსტრიაში აქტიურად მოქმედ ქართულ კრიმინალურ ჯგუფებს ასე მოიხსენიებდნენ ავსტრიელი სამართალდამცველები) სხვადასხვა ქვეყნების სპეცსამსახურებს სერიოზულ საფიქრალს უჩენდნენ და უჩენენ.

**"ავსტრიაში მცხოვრებ ქართველთა მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებანი, გასულ წელთან შედარებით, 94,8 პროცენტით გაიზარდა. ავსტრიელ კანონდამცველთა მიერ აღრიცხულია საქართველოს მოქალაქეთა მიერ ჩადენილი 1734 კრიმინალური შემთხვევა,"** - ეს ინფორმაცია ჯერ კიდევ 2003 წელს გაავრცელა ავსტრიის შინაგან საქმეთა სამინისტრომ და ფედერალურმა კრიმინალურმა სამსახურმა. თუმცა, მათ მიერ შედგენილ დამნაშავეთა სამყაროს ათეულის სიაში, რომელიც ავსტრიაში მცხოვრებ სხვადსხვა ქვეყნის მოქალაქეთა მიერ ჩადენილი დანაშაულების სტატისტიკური მაჩვენებელი გახლდათ, საქართველო მხოლოდ მეცხრე ადგილზე იყო.

**"ისინი ყოველთვის თან ატარებენ დანებს. ქურთუკის ჯიბეებში მუდმივად აქვთ სამართებლები და ჟანდარმერიისთვის საშიშ დამნაშავეებს წარმოადგენენ. ისინი უკიდურესი ძალადობისთვისაც კი მზად არიან",** - ასე წერდა ერთ-ერთი პოპულარული ავსტრიული გაზეთი "ლტოლვილთა სტატუსს ამოფარებული ქართველი კრიმინალების" შესახებ. **"ჰოლაბრუნი, ბადენი, ჰერზოგენბურგი - აქ ქართველთა ნაკვალევია, ისინი ძირითადად ვენის ლტოლვილთა ბანაკებიდან მოემართებიან. მათი ნაკადი მთელ ავსტრიას კვეთს. როცა მძარცველებსა და მაღაზიის ქურდებს პოლიცია აკავებს, უმეტეს შემთხვევაში, ეს პროცესი საშიში ინციდენტების სახეს იღებს. ერთ-ერთი შემთხვევის დროს დანით შეიარაღებულმა ქართველმა ისიც კი სცადა, რომ ჟანდარმისთვის იარაღი წაერთმია. მეორე ქართველი კი დაკითხვის დროს თავს დაესხა ახალგაზრდა თარჯიმანს,"** - წერს "ნოიე კრონენ ცეიტუნგი" და მაგალითად მოჰყავს შემთხვევა, როცა 33 წლის ქართველი, რომელსაც ჟანდარმერია დაკავებას უპირებდა, ორი დანით შეიარაღებული იმუქრებოდა, რომ დაასახიჩრებდა საკუთარ მეუღლეს და საკუთარ თავსაც ზიანს მიაყენებდა, თუ დააპატიმრებდნენ. ღონისძიებების გატარებისას, ერთ-ერთი პოლიციელი ხელის არეში მძიმედ დაშავდა. ქართველი ლტოლვილი ყაჩაღობაში იყო ეჭვმიტანილი. მას ბინაში ნაქურდალი ნივთები აღმოაჩნდა.

ავსტრიაში სამართალდარღვევათა რიცხვი, გასულ წლებთან შედარებით, 13 პროცენტით გაიზარდა. ავსტრიის პოლიციის მონაცემებით, ყოველი მეოთხე დამნაშავე უცხოელია. ვენის საქალაქო პოლიციის ინფორმაციით, ყველაზე გავრცელებული კრიმინალი ჯიბის ქურდობაა, ხოლო ჯიბის ქურდებს შორის მეორე ადგილი საქართველოს მოქალაქეებს უკავიათ.

2002-2003 წლებში გერმანული პრესა აქტიურად წერდა ქართულ კრიმინალურ დაჯგუფებებზე, რომლებიც მოქმედებდნენ გერმანიის მთელ რიგ ქალაქებში და დიდ პრობლემებს უქმნიდნენ გერმანიის პოლიციას, რომელიც მათ "ქართველ არალეგალ-კრიმინალებად" მოიხსენიებს. ზოგიერთ შემთხვევაში "ქართველი არალეგალი-კრიმინალები" დანაშაულის ჩადენის რაოდენობით აჭარბებენ არალეგალური მიგრაციის წარმოშობის ისეთი კლასიკური და გიგანტური ქვეყნების წარმომადგენლებს, როგორიცაა ჩინეთი, ინდოეთი, რუსეთი, თურქეთი, ერაყი.

**"ძალაუფლებისთვის ბრძოლა ნაციონალურ დაჯგუფებებს შორის,"** - ამ სათაურით დაიბეჭდა ერთ-ერთ გერმანულ გაზეთში წერილი, რომელშიც ნათქვამია: **"მაძიებელ ქართველთა რაოდენობის ზრდა ნოიბურგის პოლიციას მძიმე პრობლემებს უქმნის. თავშესაფარ ბანაკში გაჩაღებული მძიმე ჩხუბის შემდეგ ნათელია, რომ ადგილი აქვს კონფლიქტს ორ ეროვნულ დაჯგუფებას შორის. ნოიბურგის პოლიციის შეფი ღიად საუბრობს "ძალაუფლებისათვის ბრძოლაზე ნაციონალურ დაჯგუფებებს შორის"... საქმე ეხება ქართველებსა და ერაყელებს. უკლებლივ ყველა ქართველი ატარებს დანას, არა მხოლოდ თავშესაფარ ბანაკში, არამედ მის გარეთაც. პოლიციას სხვა შემთხვევებშიც ჰქონდა საქმე დანით შეიარაღებულ ქართველებთან. ეს პრობლემა პოლიტიკურ დონეზეც საყურადღებო გახდა, ვინაიდან შესამჩნევად ბევრი ქართველი შემოდის გერმანიაში, საქართველოში გერმანიის საელჩოს მიერ გაცემული ვიზით. მეტწილად ისინი ჯგუფებად მოემგზავრებიან. საზღვრის გადაკვეთისთანავე ისინი პოლიტიკურ თავშესაფარს ითხოვენ."**

სხვათა შორის, სწორედ ეს გახლავთ რეალური მიზეზი სხვადასხვა სახელმწიფოების საკონსულოების მკაცრი სავიზო რეჟიმისა საქართველოს მოქალაქეების მიმართ.

ამავე გაზეთში ნოიბურგის პოლიციამ სერიოზული ფაქტები გამოაქვეყნა. **"გაიზარდა ქალაქში კრიმინალურ შემთხვევათა რაოდენობა - ქურდობა, გამოძალვა. აქაც ამ ერის ჯგუფის წარმომადგენლები არიან,"** - წერია ნოიბურგის პოლიციის ხელმძღვანელის რიჩარდ ბინდერის ანგარიშში. ინგოლშტატის პოლიციამაც მსგავსი შინაარსის სტატისტიკა გაავრცელა. "ქართველ არალეგალ კრიმინალთა" საქმიანობის შესახებ ევროპის სხვადასხვა გაზეთები არა ერთხელ წერდნენ.

რაც შეეხება საქართველოდან ემიგრირებულთა დანარჩენ ნაწილს, საქმე ის გახლავთ, რომ მთელი მსოფლიოს მასშტაბით სამუშაოდ, თავის სარჩენად გასულ ქართველ არალეგალთა ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს. აღრიცხვიანობის არარსებობის პირობებში და იმის გამოც, რომ მთელი რიგი ქვეყნების კომპეტენტურ ორგანოებთან თანამშრომლობის ხარისხი ძალიან დაბალია, პრაქტიკულად შეუძლებელია ქართველ არალეგალთა ზუსტი რაოდენობის დადგენა.

მიუხედავად ამისა, არსებობს მონაცემები, რომელიც მეტ-ნაკლებად მაინც ასახავს სიტუაციას. მონაცემები საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტმა შეაგროვა და მათ მიერ შექმნილ საკმაოდ სქელტანიან დოკუმენტში დეტალურადაა ასახული არალეგალური მიგრაციის ძირითადი მიმართულებები, ტენდენციები, პრიორიტეტული ქვეყნები, სატრანზიტო მარშრუტები და სხვ.

### არალეგალური მიგრაციის არალეგალური გზები

როგორც საკონსულო დეპარტამენტის მონაცემებით ირკვევა, ძალიან ძნელია ყველა იმ მარშრუტისა და მიმართულების ოპერატიულად გარკვევა, რომელსაც არალეგალური მიგრაცია იყენებს. ფუნქციონირებს არალეგალური მიგრაციის უამრავი მარშრუტი, რომლებიც ერთიანდება ორ ძირითად - "ჩრდილოეთის" და "სამხრეთის" მიმართულებებში.

"ჩრდილოეთის" მიმართულება, სათავეს იღებს შორეული აღმოსავლეთიდან, გადის ცენტრალურ აზიას, რუსეთს (ან ყაზახეთ-რუსეთ) და შემდეგ იშლება უამრავი სხვადასხვა მიმართულებით დასავლეთი და ცენტრალური ევროპის სახელმწიფოებისკენ.

საკონსულო დეპარტამენტის მონაცემებით, აზია-ევროპის მიმართულებით მოქმედ მრავალრიცხოვან მარშრუტებზე ყოველწლიურად მოძრაობს ასეულ ათასობით "წმინდა" არალეგალი. ასევე მყარი სტაბილურობით ფუნქციონირებს "სამხრეთის" მიმართულებაც, რომლის ძირითადი ღერძი ინდო-ჩინეთიდან გადის პაკისტან-ირანზე და რომლისათვისაც ძირითად სატრანზიტო-საკვანძო ქვაყანას, მსგავსად რუსეთისა, თურქეთი წარმოადგენს. თურქეთიდან "სამხრეთის" მიმართულება კი, ასევე იყოფა მრავალ სხვადასხვა მარშრუტად. მაგალითად, თურქეთი-საბერძნეთი-იტალია-დასავლეთ ევროპა. თურქეთი-ბულგარეთი-რუმინეთი-უნგრეთი-ჩეხეთი-დასავლეთ ევროპა და ა.შ.

არალეგალური მიგრაციის საერთაშორისო სქემაში, სხვადასხვა ექსპერტების მიერ საქართველო განიხილება, როგორც სატრანზიტო და საწყისი - არალეგალთა წარმომშობი ქვეყანა. თუმცა, არსად არ არის მითითებული, თუ როგორ ხდება არალეგალური მიგრაციის დროს საქართველოს სატრანზიტო ქვეყნად გამოყენება, რა სატრანზიტო მარშრუტები არსებობს და როგორი ფორმით ფუნქციონირებენ ისინი.

ქართველი ექსპერტების მონაცემებით, საქართველოს პირდაპირი სატრანსპორტო კავშირი ევროპასთან საკმაოდ სუსტია და განვითარების ფაზაში იმყოფება, აზიის რეგიონთან კი თითქმის არ არსებობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არალეგალური მიგრაციისთვის საქართველოს ტერიტორიის სატრანზიტო დერეფნად მასშტაბური და სტაბილური გამოყენება შეუძლებელია. ქართველ ექსპერტთა დასკვნით, დღეისათვის საქართველო არ წარმოადგენს კლასიკურ სატრანზიტო ქვეყანას არალეგალური მიგრაციისათვის.

საქართველოში ემიგრაციული პროცესები, ისევე როგორც დსთ-ს სივრცის დანარჩენ ქვეყნებში, 90-იანი წლების დასაწყისში დაიწყო, მასშტაბური სახე მიიღო და ჩამოყალიბდა კლასიკური ნიშნების მატარებელ შრომითი მიგრაციის პროცესად, სადაც არალეგალურ მიგრაციას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

ქართველ მიგრანტებს ხუთი ძირითადი მიმართულება აქვთ ათვისებული: რუსეთ-დსთ-ს მიმართულება; აშშ-კანადის; დასავლეთ-ცენტრალური ევროპის; თურქეთ-საბერძნეთის და ისრაელის. სხვათა შორის, 2001-2002 წლებში, ჩეხეთის მარშრუტმა თავისი ფუნქციონირების ისეთ პიკს მიაღწია, რომ გერმანიის სასაზღვრო პოლიციამ 2002 წელს ოპერატიული შეტყობინებით მიმართა საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტს, არალეგალური მიგრაციის ამ მიმართულების გააქტიურების თაობაზე.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# ბათუმის ნავსადგური "შიშველი ხელებით" დაცული საზღვრისა და ჟანგიანი სასწორის ფონზე

პირველი გვერდიდან

ნავსადგურში გამგზავრებამდე 2 საათით ადრე მივედი. სარეგისტრაციო დარბაზში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა. მესაზღვრეები და მებაჟეები საერთაშორისო რეისისთვის ემზადებოდნენ. სახელმწიფო საზღვარი ბათუმის ნავსადგურში ოდნავ განსხვავებულად წარმომედგინა.

თავდაპირველად, ბარგის ასაწონად გამამწესეს. დაახლოებით 30-40 წლის სიძველის ჟანგიანმა სასწორმა და იქაურმა გარემომ კინოფილმ "მიმინოდან" ვალიკოსა და მეცხვარის ეპიზოდი გამახსენა. შემდეგ ბარგის კონტროლი უნდა გამევლო. ჩემი ჩანთა, მომდევნო მებაჟის მოთხოვნის შესაბამისად, იქვე, მაგიდაზე დავდე (თანაც, თვალების აქეთ-იქით ცეცებით რენტგენის არარსებულ აპარატს უიმედოდ ვეძებდი). საბაჟოს თანამშრომელმა ჩანთა გამახსნევინა, ბარგს მხოლოდ ზედაპირულად დახედა, უცხოეთში, 2001 წელს შეძენილი ფოტოაპარატის პასპორტის წარმოდგენა მომთხოვა და, მცირე მეგობრული კამათის შემდეგ, სასაზღვრო-საკონტროლო გამშვები პუნქტისკენ მიმითითა, სადაც მესაზღვრეები ჩემი პასპორტიანად მელოდებოდნენ. ჩემდა გასაკვირად, ნავსადგურის სასაზღვრო-საკონტროლო პუნქტში არსებულმა ერთადერთმა ტექნიკურმა საშუალებამ, ე.წ. "ნოუთბუქმა", რამდენიმე ათეულ მგზავრში მაინცდამაინც მე გამომარჩია და იძულებული გავხდი, "სიტუაციის გარკვევამდე გვერდით დამეცადა". ამასობაში 30 წუთზე მეტი გავიდა. უცბად საზღვრის დაცვის ერთ-ერთი თანამშრომელი ჩემი პასპორტით ხელში შენობიდან გავიდა და მხოლოდ 15-20 წუთის შემდეგ დაბრუნდა. ვიკითხე, სად წავიდა-მეთქი და მიპასუხეს, თქვენი მონაცემების გადასამოწმებლადო (დღემდე ვერ გამიგია, რატომ დასჭირდა ჩემი მონაცემების გადამოწმებას შენობიდან გასვლა). ასე იყო თუ ისე, მესაზღვრეებმა პასპორტი დამიბრუნეს, შექმნილი უხერხულობისთვის თავაზიანად მომიბოდიშეს და კეთილი მგზავრობა მისურვეს.

■ ■ ■

...ბათუმში "მიხაილ სვეტლოვით" დავბრუნდი. რეისს, ტრადიციულად, საზღვრის დაცვის პირადი შემადგენლობა და ხელმძღვანელობა დახვდა. გულთბილი შეხვედრის შემდეგ, მესაზღვრეებს არსებულ ნაკლოვანებებზე გავესაუბრე და რამოდენიმე დღეში, სასაზღვრო დაცვის სამმართველოში ინტერვიუზე შევთანხმდით.

### საზღვრის დაცვის ხარისხი

ირაკლი ფუტკარაძე. სასაზღვრო-საკონტროლო გამტარი პუნქტის - "ბათუმი-პორტის" უფროსის მოადგილე: **"რომ გითხრათ, საზღვარი დაცული არ არის-მეთქი, ეს, ალბათ, ჩვენს არაპროფესიონალიზმზე მიუთითებს. ჩვენ მესაზღვრეები ვართ და სახელმწიფო სადარაჯოზე ვდგავართ და ვფიქრობ, რომ საზღვარი საიმედოდ არის დაცული. ყოველ შემთხვევაში, ვცდილობთ, რომ ჩვენ მიერ კონტროლირებადი მონაკვეთი საიმედოდ დავიცვათ."**

### მატერიალურ-ტექნიკური ბაზა - საზღვრის დაცვის აუცილებელი წინაპირობა

ემზარ თურმანიძე. სასაზღვრო-საკონტროლო გამშვები პუნქტის უფროსი: **"ჩვენი პუნქტი ტექნიკური აღჭურვილობის ნაკლებობას რომ განიცდის, ფაქტია. ამისთვის კი აუცილებელია დაფინანსება, რამეთუ ახალი მოწყობილობების შესაძენად სოლიდური თანხებია საჭირო. ტექნიკური აღჭურვილობა კი უფრო საიმედოს გახდის საზღვარს. მაგრამ ვინაიდან ეს არ გაგვაჩნია, საკუთარი ძალებით, პირადი შემადგენლობის შემართებით, მაქსიმალურად ვიცავთ საზღვარს, ჩვენ პატრიოტები ვართ. კადრებიც საკმარისია, მაგრამ რაც მეტი იქნება, უკეთესია."**

### ანაზღაურება

ემზარ თურმანიძე: **"ბევრი ფული არასოდეს გვაქვს, მაგრამ ბოლო პერიოდში ხელფასით კმაყოფილები ვართ პირადი შემადგენლობაც და მეც. თუმცა, რაც მეტი იქნება, მით უფრო მეტ ენერგიას დახარჯავენ ბიჭები."**

### ტექნიკური აღჭურვილობის სიმწირე - ინციდენტების მიზეზი

ემზარ თურმანიძე: **"უსიამოვნო შემთხვევები დაფიქსირებული გვაქვს, მაგრამ, პირადი შემადგენლობის პროფესიონალიზმის წყალობით, შეფერხებები თავიდან აგვიცილებია. რაც უფრო მეტი და ახალი ტექნიკა გვექნება, პირადი შემადგენლობის მუშაობა გამარტივდება და უფრო ეფექტური გახდება. თუმცა, ჩვენი პრაქტიკული და თეორიული მომზადებიდან გამომდინარე, მე არ მეშინია და ვფიქრობ, ინციდენტები არ მოხდება."**

ირაკლი ფუტკარაძე: **"ინცინდენტები ტექნიკური აღჭურვილობის დეფიციტის გამო არ გვქონია. თუმცა, ყოფილა შეფერხებები მგზავრთა გატარებისას, რაც ჩვენი სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარეობს. თუ პუნქტისთვის საჭირო მოწყობილობების შეძენას რომელიმე ორგანიზაცია, საწარმო ან თუნდაც სახელმწიფო, თავის თავზე აიღებს, ინციდენტებიც მოისპობა და დაჩქარდება მგზავრთა გატარება."**


*მეტალის ერთადერთი დეტექტორი, რომლის გამოყენებასაც მესაზღვრეები ვიზუალურ დათვალიერებას ამჯობინებენ.*

*გენადი დიასამიძე, კაპიტან-ლეიტენანტი, სანაპირო დაცვის აჭარის რეგიონის განყოფილების უფროსი:* **"ვერ ვიტყვი, რომ საქართველოს სახელმწიფო საზღვაო საზღვრის გასაკონტროლებლად საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა საკმარისია. შესაბამისად, უჭირთ ტექნიკურ პოსტებსა და სადგურებს. ამის მიზეზი კი, ექსპლოატაციაში ათწლეულების წინ გაშვებული მოწყობილობების გამოყენებაა. შედეგად, ფერხდება მცურავი საშუალებებისა და ერთეულების დაფიქსირების პროცესი, ვიზუალური და რადიოკავშირი, მაგრამ საქმე წინ მიდის. აშშ-ს სანაპირო დაცვის სამსახურმა დახმარების ხელი გამოგვიწოდა. აჭარის რეგიონის განყოფილებაში უკვე 2 სხვადასხვა ტიპის კატარღა გაგვაჩნია. დაგეგმილია ჩაქვის სადგურის საერთაშორისო სტანდარტებზე აშენება. მუშაობა მიდის თურქეთის მოსაზღვრე, გონიოს საგუშაგოს საჭირო ატრიბუტიკით უზრუნველსაყოფად.**

**ჩვენი მაღალკვალიფიციური კადრები მომზადებულია აშშ-ს მიერ. ქართველი ოფიცრები წვრთნას შეერთებულ შტატებში გადიან. ამერიკელი ინსტრუქტორები ვარჯიშებს ბათუმსა და ფოთში, ჩვენი სამმართველოს ბაზაზეც ატარებენ."**

### გასულ წლებში გამოვლენილი დარღვევები

გასულ წლებში ადგილი ჰქონდა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დარღვევას. მიმდინარე წელს აღიკვეთა უცხოური მცურავი საშუალებების მიერ ზღვის დაბინძურების, უკანონო თევზჭერისა და საზღვაო ნაოსნობის წესების დარღვევის ფაქტები. ამოქმედდა შესაბამისი კანონმდებლობა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, დამრღვევთ საჯარიმო სანქციები დაეკისრათ. მხოლოდ 2005 წელს, აჭარის რეგიონის განყოფილების მიერ ბიუჯეტში შეტანილმა თანხამ 215 000 ლარი შეადგინა.

ბოლო 2 წლის განმავლობაში მცურავი საშუალებების მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დარღვევის ფაქტი არ დაფიქსირებულა.

გენადი დიასამიძე: **"დროთა განმავლობაში, მსგავსი შემთხვევები მცირდება და რაც მთავარია, ყველა ქვეყანამ ცნო ის ფაქტი, რომ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ნებისმიერი მცდელობა ჩვენ მიერ დაუყოვნებლივ იქნება აღკვეთილი."**

ირაკლი ფუტკარაძე: **"ბოლო პერიოდში, სასაზღვრო-საკონტროლო გამშვები პუნქტის რეჟიმის დარღვევაზე გამოვლენილ იქნა ყალბი (გადაწებებული "ლამინირებით", შეცვლილი სურათებით) სამგზავრო დოკუმენტები. მცირე ხნის განმავლობაში მსგავსი ფაქტების აღკვეთის 16 შემთხვევა გვაქვს დაფიქსირებული. ვმუშაობთ.**

***P.S.*** "კომეტის" სალონში დაბინავებისთანავე (ავისრულე რა პოსტსაბჭოური სივრცის ამ უსწრაფესი სამოქალაქო მცურავი საშუალებით მგზავრობის დიდი ხნის ოცნება) ნავსადგურში ნანახსა და განცდილზე დავიწყე ფიქრი. სხვისი არ ვიცი, მაგრამ საზღვრის დაცვის სამსახურის ხელმძღვანელისა და პირადი შემადგენლობის სრული მობილიზებისა და დიდი ენთუზიაზმის მიუხედავად, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დეფიციტიდან გამომდინარე, ჩვენი სახელმწიფო საზღვარი, მაინც არასაკმარისად დაცულად მეჩვენა. თანაც, ქართველ მესაზღვრეთა გულახდილსა და ვაჟკაცურ განცხადებაზე მეღიმებოდა, რომ თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობის გარეშეც, მათ გამოცდილ თვალსა და ინსტინქტს, არაფერი გამორჩება. მითუმეტეს, რომ მსგავსი ინცინდენტი ჯერ არ დაფიქსირებულა. არადა, ვერც იმ ფაქტს გავექცევით, რომ ყოველკვირეულ რეისებს ბათუმიდან სოჭის მიმართულებით ქართული კომეტა "ექსპრეს ბათუმი" და რუსული კატერი "მიხაილ სვეტლოვი" ასრულებენ; ამდენად, ადვილი შესაძლებელია, რომ საქართველოს, ან თუნდაც ჩვენი მეზობელი რუსეთის მიმართ მტრულად განწყობილმა ჯგუფებმა ან კონკრეტულმა პიროვნებამ ეს სისუსტე ბოროტად გამოიყენონ და ბორტზე საეჭვო ნივთი ან ნივთიერება აიტანონ. ამ ფიქრებმა არცთუ ისე შორეული წარსულიდან ერთი ყურადღებამისაქცევი ფაქტი გამახსენა:

2001 წლის 11 სექტემბრის ცნობილი მოვლენების შემდეგ ერთ-ერთმა გერმანელმა ტელეჟურნალისტმა მაინის ფრანკფურტის საერთაშორისო აეროპორტში, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე დიდ და დაცულ აეროპორტად ითვლება, "ფარული კამერის" თანხლებით, უსაფრთხოების ტესტი ჩაატარა: მან შუაზე გადაჭრა უალკოჰოლო სასმელის ალუმინის ქილა და შიდა კორპუსში სასწავლო ხელყუმბარა მოათავსა, ქილას საწყისი ფორმა აღუდგინა და ბილეთით ხელში, სასაზღვრო კონტროლს მიაშურა; ქილა, მესაზღვრის თანხლებით (!), გამტარი პუნქტის ერთ-ერთ თაროზე დადგა და ე.წ. ელექტრო-მაგნიტურ თაღში ხელცარიელმა გაიარა; "სამშვიდობოზე გასულმა" ე.წ. სასმელი კვლავ ხელში აიღო, კბილებამდე შეიარაღებული გერმანელი მესაზღვრეების თვალწინ, ხელყუმბარით, ტრაპისკენ მშვიდად გაემართა და თვითმფრინავის სალონში გაუჩინარდა.

# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი თორნიკე ბერიძე


გურამ ოდიშარიას სვეტი

## ლიბანი უბოდიშებს თავის ბავშვებს

ომის ერთი ეპიზოდი მახსენდება: ზამთრის შესანიშნავი, მზიანი, თბილი დღეა. იმ დღეს სოხუმში, ქალაქის შუაგულში, ერთადერთი ჭურვი ფეთქდება. შორიდან კარგად ჩანს აფეთქების შავი "სოკო". ყოველივე ეს უმალ ტელევიზორში ნანახ ლიბანის ომს მაგონებს. ომამდე ხშირად გაისმოდა ფრაზები - "შეიძლება, მოხდეს ქვეყნის ლიბანიზაცია", "მოსალოდნელია ლიბანიზაცია" და ა.შ.

აფხაზეთში წარმოებული ომის შემდეგ ის ფრაზები გაქრა. ალბათ, იმიტომ რომ "ლიბანიზაცია" ჩამოვიტოვეთ.

ქართულ-აფხაზური ჯგუფების ერთ-ერთ შეხვედრაზე, მოსკოვში, ლიბანელ ჟურნალისტს ვეცნობი.

ის მეუბნება:

- ომის შემდეგ ლიბანში უამრავი ბავშვი დაობლდა. ისინი ახლაც ბავშვთა სახლებში ცხოვრობენ. დღეს ლიბანში, მრავალი ახლად შეუღლებული წყვილი, ვისაც საშუალება აქვს, თავისი ქორწილის დღეს, პირველ სადღესასწაულო სუფრას ბავშვთა სახლში შლის და, ფაქტობრივად, ქორწილს იქ იხდის. მხოლოდ შემდეგ აღნიშნავს ახალი ოჯახი ზეიმს თავის სახლში, ან რესტორანში. მანამდე კი, როგორც გითხარით, ობოლ ბავშვებს ნუგბარი კერძებითა და ხილის წვენით უმასპინძლდება; იმ დღეს ბავშვებისათვის საჩუქრებსაც ყიდულობენ. ზოგიერთი კი დაბადების დღესაც ბავშვთა სახლში იხდის.

ასე უბოდიშებს თავის ბავშვებს ლიბანი ომის გამო.

შურიანი კაცი არა ვარ, მაგრამ ლიბანელების ბოდიშისა მშურს; ბოდიშის, რომელიც აქ, საქართველოში, ორიოდე კაცის გარდა, არავისგან გაუგიათ; ბოდიშის, რომელიც ყველამ უნდა ვუთხრათ ერთმანეთს, ასე ვფიქრობ, ომის ავტორებსაც კი.

დიახ, ომის ავტორებსაც!

მერწმუნეთ, არის ამაში გამართლებული იდუმალება.

და მე, ვსარგებლობ რა შემთხვევით, ბოდიშს მოგიხდით ყველას: მათ, ვინც ამ სტრიქონებს კითხულობს და მათაც, ვინც, ამ სიტყვებს არასოდეს წაიკითხავს.

**2001 წლის ოქტომბერი**

## თეთრი ცხენი

ერთ კვირაში ახალი, 2002 წელი დადგება, აღმოსავლეთში ცხენის წელიწადად მონათლული.

ამ დღეებში ვიღაცამ მითხრა: 2002 - შავი ცხენის წელიწადიაო.

მე კი ახლა "თეთრი ცხენი" მახსენდება, ძალიან კარგი აფხაზი მწერლის, ალექსი გოგუას მოთხრობა "თეთრი ცხენი".

ასე მახსოვს იქ მოთხრობილი ამბავი: მეორე მსოფლიო ომია. აფხაზეთში, ისევე როგორც სხვაგან, ცხენების მობილიზაცია გამოაცხადეს - ფრონტს ცხენები სჭირდებაო.

მოთხრობის მთავარი გმირის - პატარა ბიჭის სახლიდანაც მიჰყავთ თეთრი ცხენი, მასთან ერთად იზრდებოდა ბიჭი და მეგობარი ცხენი ლამის ოჯახის წევრადაც მიაჩნდათ. ბიჭი დიდხანს მისდევს, ტირილით აცილებს თავის ცხენს. ცხენი თავჩაქინდრული ტოვებს მშობლიურ სოფელს.

მთელი ომის განმავლობაში წუხს და იტანჯება ბიჭი - სად არის მისი ცხენი, ცოცხალია თუ არა, რომელ ფრონტზე იმყოფება, რომელ ბრძოლებში მონაწილეობს?..

და ფიქრობს ბიჭი - ცხენებს წერილების წერა რომ შეეძლოთ, ნეტავ, რას მომწერდა ჩემი ცხენი, როგორი სიტყვებით გამიზიარებდა თავის საწუხარსო?..

ომის შემდეგ არ მინახავს ალექსი გოგუა, არც მისი ახალი მოთხრობები წამიკითხავს. მხოლოდ ერთადერთ ინტერვიუს გავეცანი ჟურნალში "Гражданское общество".

რამდენჯერმე წერილის მიწერაც დავაპირე მისთვის, მაგრამ შემდეგ, რატომღაც, თავი შევიკავე.

და თუ მივწერდი, ნეტავ, რას მივწერდი?..

და თუ მომწერდა, ნეტავ, რას მომწერდა?..

რა სიტყვებით გავუზიარებდით ერთმანეთს ჩვენ-ჩვენს საწუხარს?..

რამ გამახსენა "თეთრი ცხენი" შავი ცხენის წელიწადის დამდეგს?

**2001 წლის დეკემბერი**

გადარჩენილი ფოტოები

## მენატრები



სოხუმი, 1960 წელი. მარცხნიდან: გივი ანთელავა, თამარ (ტატულია) ჩიქოვანი, ნიკოლოზ ემხვარი შვილთან - მერაბთან ერთად.


**პროექტი "თქვენი აფხაზეთი"**
ჩვენი პოვნა შეგიძლიათ: გაზეთი **"24 საათი",** ყოველ ოთხშაბათს საქართველოს რადიო, პირველი არხი, **FM 102,4 10სთ და 25 წთ-დან, ყოველ ორშაბათს**

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources


# უფრო მასშტაბური ხედვა

ზაზა ფაჩუაშვილი

*ბოლო 12 წლის მანძილზე ქართულ საზოგადოებაში აფხაზეთთან დაკავშირებით ყველაზე პოპულარული კითხვაა - რა შეიცვალა? - რომელსაც ყოველთვის ერთი და იგივე პასუხი მოსდევს - არაფერი! თუმცა, აფხაზური მხარის ლიდერთა მოსაზრებებში ცვლილებები ნამდვილად შეინიშნება. ჩვენთვის კარგად ცნობილი რადიკალური პოზიციები ქართულ მხარესთან მოლაპარაკებების სურვილმა შეცვალა. ასევე შესამჩნევია ის ფაქტიც, რომ აფხაზური მხარე სულ უფრო მეტ ყურადღებას აქცევს საერთაშორისო თანამეგობრობის მოსაზრებებს. დღეს გთავაზობთ აფხაზურ საიტზე გამოქვეყნებულ ინტერვიუს აფხაზეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარესთან, სტანისლავ ლაკობასთან, სადაც ყველა ეს ტენდენცია ამოიკითხება.*

**- რამდენად შედეგიანი იქნება მოლაპარაკებები საქართველოსთან, როცა მისი პრეზიდენტი აცხადებს, რომ კონფლიქტის მოგვარების ერთადერთი გზა აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებაა?**

- ვფიქრობ, ამ საკითხს უფრო მასშტაბურად უნდა შევხედოთ. მოლაპარაკებებში მონაწილეობაზე უარის თქმით რატომ უნდა გავუმართოთ ხელი საქართველოს ომის პარტიას? ასეთი საქციელი დაასუსტებდა სხვა შეხედულებების მქონე ადამიანების პოზიციასაც. ასეთები კი არა ერთი და ორია. ჩვენ ვიცით, რომ იქ არის ხალხი, რომლებიც მხარს უჭერენ კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას.

ძალის გამოყენებას ვერავინ გამორიცხავს, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, თუ ეს რამდენად აძლევთ ხელს საქართველოსა და აფხაზეთის უკან მდგომ ძალებს. მესმის, რომ ეს ძალები ყველაფერს არ წყვეტენ, მაგრამ მათი პოზიცია მრავალ საკითხში გადამწყვეტია.

რა თქმა უნდა, საქართველოს პრეზიდენტს შეუძლია არავის დაუჯეროს და რაღაც მოქმედებები საკუთარი ინიციატივით წამოიწყოს, მაგრამ ეს მისთვის ძალიან სარისკო ნაბიჯი იქნება. ამის მაგალითი სამხრეთ ოსეთში უკვე გვაქვს. ეს უკიდურესად სახიფათო იქნება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისთვის, რომელიც ესოდენი პომპეზურობით გაიხსნა.

არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ ცხინვალიდან თბილისამდე სულ რაღაც 101 კმ-ია. არ შეიძლება ნელი მოქმედების ისეთი ნაღმების დავიწყება, როგორებიცაა აზერბაიჯანული და სომხური ანკლავები და მთელი რიგი სხვა პრობლემები.

საქმე ასე უბრალოდ არ არის და პუტინისა და ერდოგანის ხშირი შეხვედრებიც მრავლისმეტყველი ფაქტია. რუსეთსა და თურქეთს ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების საერთო ინტერესები გააჩნია. ჩემი აზრით, რუსეთისა და თურქეთის გეგმებში სულაც არ შედის სუფსიდან ოდესაში ნავთობის გადაქაჩვის პერსპექტივა, რასაც საქართველო და უკრაინა ცდილობს. თურქეთში ესმით, რომ რუსეთის პოზიციების შესუსტება თურქეთის პოზიციების შესუსტებასაც დაემუქრება. ასეთ შემთხვევაში, თურქეთი სტრატეგიულ პარტნიორს დაკარგავდა.

**- აფხაზეთის ხელისუფლება ეროვნული უსაფრთხოების საკითხში რა როლს ანიჭებს რუსეთის მხარეს?**

- რუსეთის როლი ნათელია არა მარტო აფხაზეთისათვის, არამედ მთელი კავკასიისათვის. აფხაზეთი მზად არის რუსეთთან მჭიდრო თანამშრომლობისათვის. ვფიქრობ, დღეს რუსეთის გარეშე სამშვიდობო ფუნქციის შესრულება შეუძლებელი იქნება. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ამ რეგიონში რუსეთი დომინირებს უკვე 200 წელზე მეტია და, ამიტომ, რეგიონის წარმოდგენა მის გარეშე, რაღაც, ძალიან ძნელია - ყოველ შემთხვევაში, მოვლენების ასეთი განვითარება მხოლოდ ქაოსამდე მიგვიყვანს. რუსეთის ადგილზე შეიძლება ისეთი მოადგილე მოვიდეს, რომ კავკასიის ხალხები, მით უმეტეს ისეთი მცირერიცხოვანი, როგორიც აფხაზი ხალხია, კარგს არაფერს უნდა ველოდოთ. ჩვენთვის ეს უკიდურესად სახიფათოა. დამოკიდებულების სხვა სფეროში გადასვლა შეუძლიათ დიდ და შედარებით დიდ ხალხებს. სამწუხაროდ, ჩვენ ამის გაკეთება არ შეგვიძლია. ამიტომ, ძალიან განვიცდით ყოველივეს.

ჩვენ ვიცით, რომ რუსეთს დიდი პრობლემები აქვს, ქვეყანა მძიმე მდგომარეობაშია. საერთო ჯამში, რუსეთს დღეს უფრო მეტი პრობლემები აქვს, ვიდრე ჩვენს პატარა ქვეყანას. მაგრამ ვფიქრობ, რომ შესაძლებელია ოქროს ისეთი შუალედის მოძებნა, რომელიც დააკმაყოფილებდა რუსეთსაც, ევროკავშირსაც და აშშ-საც, რომელმაც მყარად მოიკიდა ფეხი სამხრეთ კავკასიაში და სერიოზულ ძალადაც გადაიქცა.

მეორეს მხრივ, არსებობს თურქეთის ინტერესები შავი ზღვის აუზში. ამ ქვეყნების ინტერესთა ბალანსმა კი, შეიძლება, აფხაზეთისთვის ახალი ვითარება შექმნას, რისი პროგნოზირებაც ძალიან ძნელია. გავხდებით დამოუკიდებლები, შევქმნით რაიმე სხვა სტრუქტურას დაკავშირებულს რუსეთთან, თუ ეს იქნება კონფედერაცია სხვასთან, ძნელი სათქმელია.

ერთია, როცა ჩვენ მივიჩნევთ საკუთარ თავს დამოუკიდებლად, მაგრამ საქმე ისაა, რომ საერთაშორისო საზოგადოებრიობამ ან უნდა გვცნოს, ან არა. რომელ მოდელამდე მივალთ, ძნელი სათქმელია, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს მოდელი დაბალანსებული იქნება.

**- თქვენ რომელ მოდელს აირჩევდით?**

- ჩვენ არაერთხელ განგვიცხადებია და ეს 1999 წლის რეფერენდუმმაც აჩვენა - დამოუკიდებელი სახელმწიფო. და აფხაზი ხალხი ამ პოზიციაზე დგას.

**- თქვენ ახსენეთ კონფედერაციაც. რომელ ქვეყანასთან შეუძლია აფხაზეთს კონფედერაციაში შესვლა?**

- ჯერ კიდევ 1994 წელს ჟენევაში შევთავაზეთ ქართულ მხარეს კონფედერაციული ურთიერთობები, მაგრამ უარი მივიღეთ. ახლა რა ვქნათ, საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიის სახით დავბრუნდეთ? ეს ჩვენ აბსოლუტურად არაფერს გვაძლევს.

**- რამდენად მზადაა აფხაზეთი საქართველოსთან კონფედერაციული მოდელის განხილვისათვის?**

- საქართველოს მხრიდან სამხედრო რიტორიკის ფონზე როგორ შეგვიძლია ამის განხილვა?

**- აფხაზეთისთვის უფრო ადვილი არ იქნებოდა რუსეთის შემადგენლობაში შესვლა და საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფა?**

- როგორ შეძლებს ამას რუსეთი? აფხაზეთმა არაერთხელ მიმართა მას, ვფიქრობ, ეს არ არის რეალური.

**- ვისთვის არ არის რეალური - რუსეთისთვის თუ აფხაზეთისთვის?**

- ამ მომენტში - რუსეთისთვის. დეკლარაციის დონეზე ასეთი შესაძლებლობა არის, მაგრამ ეს ნაბიჯი შეიძლება რუბიკონად გადაიქცეს. აფხაზური ანდაზა ამბობს: "დათვს დაეცა მორი - არ იღრიალა, დაეცა კლდე - არ იღრიალა. იღრიალა, როცა ფოთოლი დაეცა." აფხაზეთი რუსეთისთვის ასეთი ფოთოლი შეიძლება გახდეს. არ შეიძლება გამორიცხვა, რომ ბოლოს და ბოლოს სახელმწიფო რაღაც მომენტში შეიძლება ვა-ბანკზეც წავიდეს.

**- რეალურად მიგაჩნიათ თუ არა ვარიანტი, რომ საქართველოდან გაყვანილი, რუსეთის ბაზები აფხაზეთში განალაგონ?**

- რა თქმა უნდა.

**- და, მერე?**

- არაფერი. ვფიქრობ, რაღაც ვარიანტები შეიძლება გამოინახოს. ეს შეიძლება მოხდეს რაღაც მოლაპარაკებების შედეგად. ნებისმიერ შემთხვევაში, აფხაზეთის დატოვება შავი ზღვის რეგიონისა და ჩრდილო კავკასიის დატოვებას ნიშნავს.

# ქართულ-აფხაზური საქმე გალში

ლელა მარგიანი

*ზურაბ აფხაზავას სტატიაში - "სოხუმის ხელისუფლებამ გალის არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუტია," - საუბარი იყო ერთ ორგანიზაციაზე - "გალის რაიონის ქალთა ასოციაციის" საქმიანობის შესახებ. ჩვენ დაგვიკავშირდა ორგანიზაციის ხელმძღვანელი ქალბატონი თინა ქეცბაია და შეხვედრა გვთხოვა. მკითხველებს ვაწოდებთ მის მოსაზრებებს აღნიშნულ ინფორმაციასთან დაკავშირებით.*

**- ქალბატონო თინა, როგორ კომენტარს გაუკეთებდით სტატიაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ თქვენ გალში გავიწროებენ?**

- "არ ვიცი, გინდა პრეტენზია დაარქვით, გინდა - უკმაყოფილება. ამ წერილის გამო ძალიან გალიზიანებული ჩამოვედი გალიდან, რადგან ამხელა პრობლემა გალში ჩემი მუშაობის რვა წლის მანძილზე ჯერ არ მქონია. ვფიქრობ, ეს ყველაფერი ჩემმა ამერიკაში წასვლამ გამოიწვია (გაერო-ს შტაბბინაში იგი მოხსენებით გამოვიდა და ისაუბრა გალის რაიონის პრობლემებსა და საკუთარი ორგანიზაციის მოღვაწეობაზე კონფლიქტურ ზონაში - ლ.მ.). ავტორი აბსოლუტურად არ არის ჩახედული გალის რაიონის პრობლემებში. აბა, როგორ შეიძლება, ერთ წერილში ორი ურთიერთგამომრიცხავი ფაქტი დაიბეჭდოს? - თურმე, მე აქ "მჩაგრავენ" და, ამავე დროს, მე ვყოფილვარ "მონოპოლისტი". თუ მჩაგრავენ, მაშინ მონოპოლისტი როგორღა ვარ?! როდესაც ასეთ რამეს ამბობს ადამიანი, სწორი ინფორმაცია ხომ მაინც უნდა მოიძიოს? ერთადერთი "ჩემი" პროექტი არის "ახალგაზრდული ცენტრი", რომელიც გალში "სოროსის" დაფინანსებით, რვა წელია, არსებობს. კი, ბატონო, ვმონაწილეობ სხვა პროექტებში, ვთქვათ, ეუთო-ს პროექტის კოორდინატორი ვარ და ვიღებ ხელფასს, მაგრამ ეუთო-მ თავად ამირჩია კოორდინატორად. თუ მე მართლა ვმუშაობ და საზოგადოებრივ საქმეებს ვაკეთებ, ეს სხვებში გაღიზიანებას რატომ იწვევს?!

ფაქტია, რომ დამფინანსებლები ნაკლებად შემოდიან გალში, რადგან მაინც დაუცველი ზონაა. მაგრამ თუ ვინმესთან ჰქონიათ საქმე, არ დარჩენილან მათი მუშაობით კმაყოფილი და შეუწყვეტიათ მათთან თანამშრომლობა, ესეც ჩემი ბრალია?! ყველამ საკუთარ თავში უნდა ეძიოს მიზეზი. იშრომოს იმდენი, რამდენსაც მე ვშრომობ. კი არ "ილაქუცოს" და ქართველეთ ქართველი იყოს, ხოლო აფხაზეთთან - აფხაზი, არამედ ჩემსავით ხმამაღლა განაცხადონ, რომ არიან "ქართველები" და რომ აკეთებენ ქართულ-აფხაზურ საქმეს გალში.

რა [illegible] ოფისს. რვა წელია, ამ ოფისს [illegible] ას, რომ [illegible] ხური" [illegible] რადგან თავისი სიკეთიდან გამომდინარე, წლების მანძილზე გადასახადებს ნამდვილად არ ვიხდიდი. "სოროსის ფონდშიც" კარგად იცოდნენ, რომ მე ოფისის ქირას არ ვიხდი. ხმამაღლა ვაცხადებ, ნახონ საბუთები და თავად დარწმუნდებიან, რომ მე სიმართლეს ვამბობ. ოფისის ქირის გადახდა მხოლოდ წელს დავიწყე, მაშინ, როდესაც მოვიდა ახალი პრეზიდენტი, როდესაც დაკანონდა საგადასახადო სისტემა. სხვების მსგავსად, მეც მომთხოვეს და დავიწყე გადასახადების გადახდა. ბუნებრივია, თავიდან გავიარე ოფისის რეგისტრაცია, ისევ დავიკანონე, არენდით ავიღე (რადგან არ ხდება პრივატიზაცია), და ოფიციალურად ვიხდი გადასახადებს.

ასე რომ, თინას არც ამ კუთხით ჩაგრავს ვინმე! ისევ ხმამაღლა ვამბობ - არავინ აფხაზური მხრიდან მე არ მავიწროებს. რომ მაკონტროლებენ, ეს თავადაც კარგად ვიცი. მე თვითონ ვთხოვე მათ, რათა მშვიდად შემეძლოს მუშაობა. [illegible] ქართველობას და არც აფხაზებს.

**- პრობლემა არ გქონიათ?**

- ადრე მართლა მქონდა პრობლემა ოფისთან დაკავშირებით, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს პრობლემა და ტკივილი მოდიოდა არა აფხაზისგან, არამედ სწორედ ქართველისგან.

სტატიაში წერია, რომ მე "ოჩამჩირეში და ტყვარჩელში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივისტი ქალების გალში სტუმრობა გრანტის გამცემთა თვალში საკუთარი რეკლამისთვის გამოვიყენე. არადა, თურმე, აფხაზი ქალები გალში საკუთარ საქმეებზე იყვნენ ჩამოსულები და მე ჭიქა ყავაზე ათიოდე წუთით დავპატიჟე". ესეც სრული არაინფორმირებულობაა (ან შეგნებული დეზინფორმაცია).

სინამდვილეში, მე მართლაც მოვიწვიე ძალიან ავტორიტეტული აფხაზი ქალბატონები - ბელა არშბა, რომელიც ტყვარჩელელი ქალბატონების ხელმძღვანელია; ანჟელა ტოლუა, რომელიც ოჩამჩირის ქალთა ასოციაციის ხელმძღვანელია. შეხ- [illegible] მხოლოდ ჩემი ორგანიზაციის მიერ გაწეული მუშაობის დაცვა მინდა. სწორედაც გალში, თუნდაც მხოლოდ ჩვენს ოფისში, უბრალოდ, მხოლოდ მოსვლა აფხაზი ქალბატონებისა უკვე დიდი საქმეა! ეს ადამიანმა ხომ უნდა იცოდეს?! ჩატეხილი ხიდის აღდგენა ხომ სწორედ ასეთი "უბრალო" შეხვედრებითა და ურთიერთობებით იწყება? ყავა კი არა, დიდ პურ-მარილს გადავიხდით, როდესაც ჩვენ შევრიგდებით. მთელს სტადიონზე გაიშლება მაგიდები.

**- თუ დაისახა გეგმები თანამშრომლობისთვის?**

- ამ შეხვედრაზე, სხვათა შორის, გარკვეულ თანამშრომლობაზეც შევთანხმდით. აღმოჩნდა, რომ ტყვარჩელში არ ჰყავთ ხატვის მასწავლებელი, ჩვენმა გალელმა პედაგოგმა შესთავაზა აფხაზ ქალბატონებს, რომ იგი მზად არის, კვირაში ერთხელ ჩავიდეს ტყვარჩელში და იქაურ ბავშვებს უფასოდ ჩაუტაროს გაკვეთილები. ამავე დროს, ოჩამჩირეში ჩვენი ექიმი-ფტიზიატრი თვეში ერთხელ ჩადის და ასევე უფასოდ ემსახურება იქაურ ავადმყოფებს.



სერგეი შამბა, თინა ქეცბაია, ზაზა კოკსაძე. ლონდონი, 2003 წელი.

ერთი რამე მინდა განვაცხადო - "მონოპოლისტი" მართლაც ვარ იმ კუთხით, რომ ყველა რთულ საქმეს ჩვენი ორგანიზაცია აკეთებს. აბა, ქართულ ენასთან დაკავშირებით სხვა ვინ ამოიღო ხმა? ერთობლივი ეკონომიკური პროექტები რომ უნდა დაწყებულიყო, ყველა შეშინდა, ხმას არ იღებდნენ, რადგან მერე აფხაზებს არ ესაყვედურათ მათთვის. მე კი ყოველთვის ხმამაღლა ვამბობდი და ვამბობ, რომ ვარ ქართველი და მინდა, აფხაზებთან ვიყო კარგად! მინდა, რომ საერთო საქმე ვაკეთო. მე ვინმეს ავუკრძალე, არ შეხვდეთ აფხაზებს, არ გააკეთოთ თქვენც საერთო საქმე-მეთქი?

ერთი რამ ცხადია, ცუდ ადამიანს არა აქვს ეროვნება. ეს წერილი და ასეთი განწყობა არ ეხება მხოლოდ თინა ქეცბაიას, ეს ქართულ-აფხაზური ურთიერთობებისთვის ზურგში დანის ჩარტყმის ტოლფასია.

ამერიკაში, გაერო-ს ოფისში გამოსვლისას, ვისაუბრე იმაზე თუ რა პრობლემები გვქონდა გალის რაიონში, სადაც მოსახლეობის 95 პროცენტი ქართველია; რომ სწორედ გალია პატარა საქართველო აფხაზეთში; რომ სწორედ თავად გალის რაიონია "ჩატეხილი ხიდი" ქართველებსა და აფხაზებს შორის; რა სიძნელეები გადავლახეთ წლების მანძილზე გალში მაცხოვრებელმა ქართველებმა; როგორ მოვახერხეთ დაახლოება აფხაზებთან; როგორ ჩამოვაყალიბეთ გალში სამოქალაქო საზოგადოება; როგორ ამოვუდექით მხარში პრეზიდენტს არჩევნების დროს; როგორ არ მოვერიდეთ იმას, რომ ოპოზიციას - ბატონებს ბაგაფშსა და ლაკერბაიას შეხვედრა მოვუწყვეთ.

ერთადერთი სწორედ ჩვენი ორგანიზაცია იყო, ვინც გაბედა ამ წინასწარი შეხვედრის მოწყობა საკუთარ ოფისში. სხვამ ვინ შეძლო ეს გალში?! და ეს ჩუმად კი არ გააკეთა, არამედ ხმამაღლა უთხრა მაშინდელ აფხაზურ ხელისუფლებას: მოსულია ოპოზიცია და მე ვალდებული ვარ, მოვუსმინო მას.

მახსენდება, როდესაც ორიოდე წლის წინათ ლონდონში შეხვედრა გვქონდა, რომელსაც ბატონი შამბა ესწრებოდა, იგი გაოცებული დარჩა იმით, თუ როგორ ვისაუბრე მაშინ მე ღიად და დაუფარავად გალის პრობლემებზე. ბატონი შამბა, რომელიც არაჩვეულებრივი პიროვნებაა, მოვიდა ჩემთან და მითხრა: "იცით, ქალბატონო თინა, მე თქვენთვის კედელი ვარ აფხაზეთში!"

გამოკითხვა

## ბაგაფში ითხოვს, რომ აფხაზეთის აკვატორია, ინციდენტების თავიდან აცილების მიზნით, რუსმა სამშვიდობოებმა გააკონტროლონ. რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?

**მერაბ კანდელაკი**, ისტორიკოსი, 49 წლის: "ბაგაფში ვითომ ახალი ინიციატივით გამოდის, საქართველოს მთავრობასა და გაეროს რუსი სამშვიდობოების მანდატის გაფართოებას სთავაზობს. თუმცა, ძალიან კარგად იცის, რომ საქართველოს მხარე ამას არ დათანხმდება. ეს აზრი თავში, ალბათ, მას შემდეგ მოუვიდა, რაც ქართულმა მხარემ თურქული გემი დააკავა კონტრაბანდული ტვირთით. ამ წყლებს რუსები რომ აკონტროლებდნენ, მაშინ კონტრაბანდას კი არ აღკვეთენ, პირიქით, ხელს შეუწყობდნენ. ჩემი აზრით, ამ ინიციატივის საპასუხოდ, ქართულმა მხარემ შერეული სამშვიდობო კონტინგენტის შეცვლის საკითხი უნდა დააყენოს აფხაზეთში, რომელიც ნამდვილად დაიცავს ორივე მხარის ინტერესებს და სეპარატისტების მხარდამჭერი არ იქნება. მაშინ კონფლიქტის მოგვარების რეალური პერსპექტივაც გაჩნდება."

**ლალი კვარაცხელია**, აფხაზეთიდან დევნილი, 62 წლის: "აფხაზეთის წყლებშიღა გვაკლია რუსების პარპაშის დაკანონება! თუ საქართველოს ხელისუფლება ამ ინიციატივას მიიღებს, მაშინ საშველი არ ყოფილა. გამოდის, რომ სიტყვით სხვას ამბობენ და საქმით სხვას აკეთებენ. იმედია, ასე არ მოხდება."

**დავით ნიკოლაძე**, მცირე მეწარმე, 43 წლის: "ბაგაფში და აფხაზი სეპარატისტები ბევრ რამეს ითხოვენ. საკითხავია, რამდენად შეუწყობს ხელს ეს მოთხოვნა კონფლიქტის მოგვარებას. რაც უფრო მეტი გავლენა ექნება რუსეთს აფხაზეთის ტერიტორიაზე თუ წყლებზე, მით მეტად შეუშლის იგი ხელს კონფლიქტის მოგვარებას. ეს ბაგაფშმაც კარგად იცის, ისიც იცის, რომ ქართველები ამ წინადადებას არ მიიღებენ, მაგრამ ენას ძვალი არა აქვს! რაღაც ხომ უნდა თქვას!"

**თამაზ გოგალაძე**, ელექტრიკოსი, 54 წლის: "ბაგაფშის პირით რუსები ლაპარაკობენ. რუსებს ძალიან ეშინიათ აფხაზეთში გავლენის შესუსტების და ახლა წყლების გაკონტროლება უნდათ. მაგრამ არაფერი გამოუვათ."

**ანა სხირტლაძე**, ინგლისური ენის მასწავლებელი, 25 წლის: "არა მგონია, სწორი იყოს რუსეთის სამშვიდობოების მიერ აფხაზეთის აკვატორიის გაკონტროლება, რადგან ეს, ფაქტობრივად, უცხო ქვეყნის ინტერვენციის ტოლფასია. თუ ამის აუცილებლობა არსებობს, ჯობს, ქართველებმა და აფხაზებმა ამ საკითხში თავად შეიმუშაონ რაღაც სისტემა და ერთობლივად გააკონტროლონ ეს მონაკვეთი."

**მანანა ლალიაშვილი**, ინჟინერი, 40 წლის: "თუ გაეროს სთავაზობს ბაგაფში ამ ინიციატივას, იქნებ უმჯობესი იყოს, გაეროს სამშვიდობო კონტინგენტმა თავად გააკონტროლოს აფხაზეთის აკვატორია, თუკი რამე ინციდენტები და პროვოკაციებია მოსალოდნელი".

**არსენ ერემიანი**, მეწაღე, 30 წლის: "არაფერსაც არ ვფიქრობ, პოლიტიკა მინდა ახლა მე? არა, პოლიტიკა სულ არ მაინტერესებს."

მოკლედ

## ერაყის ახალ კონსტიტუციაზე შეთანხმება კვლავ გადაიდო

მთელი ღამის სხდომის შემდეგ ერაყელი პარლამენტარები მხოლოდ იმ გადაწყვეტილებამდე მივიდნენ, რომ კონსტიტუციის პროექტის შემუშავება ერთი კვირით გადაიდოს. აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა ერაყის საკანონმდებლო ორგანოში მიმდინარე პოლიტიკურ დებატებს "მოქმედი დემოკრატიის" მაგალითი უწოდა.

ვადის ამოწურვამდე 20 წუთით ადრე ერაყის პარლამენტმა გადაწყვიტა, 22 აგვისტომდე გადადოს ქვეყნის ახალი კონსტიტუციის პროექტის დამტკიცება. ამ დოკუმენტის მიღების ვადა 15 აგვისტოს შუაღამისას იწურებოდა. ბოლო წუთებამდე მიმდინარე ინტენსიურმა მოლაპარაკებებმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. ცალკეული ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფების წარმომადგენელთა შორის ჯერაც მოუგვარებელია უთანხმოება რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე.

მაგალითად, ქურთები და შიიტები მხარს უჭერენ ქვეყნის ფედერაციულ მოწყობას, რასაც ეწინააღმდეგებიან სუნიტები, რომელთა აზრით, ფედერაციის შექმნა ერაყის დაშლას გამოიწვევს. სადავო საკითხია, აგრეთვე, ქვეყნის კანონმდებლობაში ისლამის როლი. თუ ქურთებისა და შიიტების უმრავლესობით წარმოდგენილი პარლამენტი კონსტიტუციის პროექტს დაამტკიცებს, ოქტომბერში ამ დოკუმენტს დასამტკიცებლად გაიტანენ საყოველთაო რეფერენდუმზე.

**24 საათი**

## მიწისძვრა იაპონიაში

იაპონიაში გუშინ ძლიერი მიწისძვრა მოხდა. მისმა ძალამ რიხტერის სკალით 6,8 ბალი შეადგინა. ეპიცენტრი ტოკიოდან დაახლოებით 300 კილომეტრში და სანაპიროდან 20 კილომეტრის დაშორებით ოკეანეში მდებარეობდა. მიწისქვეშა ბიძგები კუნძულ ჰოკაიდოდან იაპონიის დედაქალაქამდე იგრძნობოდა. მიწისძვრის შედეგად ქალაქ სენდაიში სპორტული კომპლექსის შენობის სახურავი ჩამოინგრა, რის შედეგად დაახლოებით 80 ადამიანი დაშავდა.

კუნძულ ჰონსიუზე ყველა ჩქაროსნული მატარებლის მოძრაობა შეწყვეტილია. ქალაქ ონაგავაში მდებარე ატომური ელექტროსადგურის სამი რეაქტორი კი ავტომატურად გაჩერდა.

იაპონიის დედაქალაქი ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის გარეშე დარჩა. ტოკიოს ორივე აეროპორტი დროებით დახურულია. ცუნამის საფრთხე, რომელიც მიწისძვრისთანავე მიაგის პრეფექტურის სანაპიროზე გამოცხადდა, ამ დროისთვის აღარ არსებობს.

**ინტერპრესნიუსი**

## ავღანეთში 17 ნატო-ელი დაიღუპა

ავღანეთში სამხედრო ვერტმფრენის კატასტროფის შედეგად 17 ესპანელი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა, - ამის შესახებ ესპანური გაზეთის "მუნდოს" ინტერნეტ-საიტი ესპანეთის თავდაცვის სამინისტროზე დაყრდნობით იუწყება.

ვერტმფრენი ავღანეთის დასავლეთში მდებარე ქალაქ გერატის მახლობლად ჩამოვარდა. ამ რაიონს ნატო-ს ჯარების ესპანური კონტინგენტი აკონტროლებს.

ავღანეთში ნატო-ს ჯარების პრესმდივანმა სააგენტო "როიტერს"-ს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ვერტმფრენის კატასტროფის ფაქტი დაუდასტურა, თუმცა, დაღუპულთა რიცხვის დასახელება გაუძნელდა.

სულ ავღანეთში 850 ესპანელი სამხედრო მოსამსახურეა დისლოცირებული. უკანასკნელად ესპანურმა კონტინგენტმა შევსება, 200 სამხედროს სახით, 5 აგვისტოს მიიღო.

2003 წელს თურქეთში ჩამოვარდა თვითმფრინავი, რომელსაც ავღანეთიდან სამშობლოში ესპანელი ჯარისკაცები გადაჰყავდა. ავიაკატასტროფის შედეგად თვითმფრინავის ბორტზე მყოფი 62-ვე ესპანელი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა.

**24 საათი**

## დამოუკიდებლობის დღე აფეთქების ფონზე

ორშაბათს, როდესაც ინდოეთის შტატებში - ჯამუსა და ქაშმირში დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად ემზადებოდნენ, აფეთქების ხმა გაისმა ქალაქ სრინაგარში. ადგილობრივი პოლიციის მიერ მიწოდებულ ცნობებზე დაყრდნობით, სააგენტო "ფრანს პრეს"-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, აფეთქებას მსხვერპლი არ მოჰყოლია.

სრინაგარის პოლიციის თქმით, ქალაქის ცენტრში, სტადიონთან ახლოს, ხელნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა მანამდე ამოქმედდა, ვიდრე საზეიმო ცერემონიაზე დასასწრებად ქაშმირისა და ჯამუს მუფთი მოჰამად სიედი ჩავიდოდა.

მოგვიანებით გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ მომხდარზე პასუხისმგებლობა დაჯგუფება "ჰიზბულ მოჯაჰედინ"-მა აიღო.

ინდოეთი დამოუკიდებლობის დღეს 15 აგვისტოს, 1947 წელს ბრიტანეთის მმართველობისაგან გათავისუფლების შემდეგ აღნიშნავს.

**24 საათი**

# ცალმხრივი დაშორიშორების დაწყებას შეტაკებები მოჰყვა



*არიელ შარონი: ღაზას სექტორის დატოვება ისრაელისათვის აუცილებელია.*

**"ღაზას სექტორის ევაკუირებიდან ოთხი კვირის, ანუ ერთი თვის განმავლობაში პალესტინელებს ნებას არ დავრთავთ, რომ დაიკავონ ღაზას სექტორი,"** - აღნიშნა ისრაელის თავდაცვის მინისტრმა ისრაელის სამხრეთით განლაგებულ საჯარისო ბაზებში გამართულ პრესკონფერენციაზე.

**"ვაცნობებ პალესტინის მოსახლეობას, რომ ჩვენ ეს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ მიზნით მივიღეთ, რომ საუკეთესო ეკონომიკურ-პოლიტიკური ვითარება და რეალური უსაფრთხოება შევუქმნათ,"** - განაცხადა შაულ მოფაზმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ისრაელის ხელისუფლება ღამის 12 საათამდე შეიმუშავებდა ღაზას სექტორის გასუფთავების გეგმის შემდგომ ეტაპებს, რომლებიც უმოკლეს ვადაში განხორციელდება.

საგულისხმოა, რომ ისრაელის თავდაცვის მინისტრმა წინასწარ დაიზღვია თავი ყველანაირი საპროტესტო გამოსვლებისა და შეტაკებებისგან და განაცხადა, რომ 16 აგვისტოდან ნებისმიერ პიროვნებას, რომელიც ხელს შეუშლის ღაზას სექტორის ევაკუაციას, დააკავებენ.

შაულ მოფაზმა მუქარის ტონით გამოხატა "თავისი სურვილი", რომ "სიმშვიდე დაცული იქნება". **"ყველა საშუალებას გამოვიყენებთ, რათა შევინარჩუნოთ წესრიგი. ხოლო ვინც დაარღვევს კანონს, დაისჯება**, - განაცხადა ისრაელის თავდაცვის მინისტრმა, **- ვწუხვარ, რომ დღეს კიდევ არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ხელს უშლიან მათ, ვინც თავისი ნებით ტოვებს ღაზას სექტორს**".

ისრაელის თავდაცვის მინისტრის თქმით, ღაზას სექტორში მცხოვრებნი არ აღმართავენ ხელს ჯარისკაცებსა და მილიციელებზე და ამ ტერიტორიებიდან თავისი სურვილით გამსვლელთა რიცხვი თანდათან იზრდება, თუმცა, რეალობა საპირისპირო აღმოჩნდა.

გუშინ დილით პოლიციის მნიშვნელოვანმა ძალებმა დაიწყეს ნევ დეკალიმის შესასვლელის გასუფთავება. ეს არის 21 კოლონიიდან ერთ-ერთი მთავარი, რომლის ევაკუაციაც უნდა დაწყებულიყო. კოლონიის უკან აღმართული გალავანი ბულდოზერმა დაანგრია. პოლიცია, რომელიც მოწინააღმდეგეებს არ შეხვედრია, თვითონ ანგრევდა ევაკუაციის მოწინააღმდეგეების მიერ აღმართულ ბარიკადებს, მაგრამ შუადღისკენ პოლიციასა და მოწინააღმდეგეებს შორის შეტაკება მოხდა. ამ დროს კი 150-მა ახალგაზრდამ ახალშენის მთავარ ქუჩაზე ცოცხალი კედელი აღმართა, რათა არ გაეტარებინა სატვირთო მანქანები, რომლებიც ღაზას სექტორიდან გასვლის მსურველებს ეხმარებოდა გადასახლებაში.

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა 15 აგვისტოს სატელევიზიო გამოსვლაში მოუწოდა პალესტინელებს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, რათა ღაზას სექტორის გასუფთავების შემდეგ რეგიონში სამშვიდობო მოლაპარაკებები გაგრძელდეს. "**პალესტინელებმა უნდა იბრძოლონ და განაიარაღონ ტერორისტული ორგანიზაციები, რათა გაგრძელდეს სამშვიდობო მოლაპარაკებები**," - განაცხადა არიელ შარონმა იმ დღეს, როდესაც 38-წლიანი ოკუპაციის შემდეგ ღაზას სექტორის გასუფთავება დაიწყო.

"**მსოფლიო ელის პალესტინელების პასუხს, რომლებმაც, სამწუხაროდ, მშვიდობას ცეცხლი არჩიეს, რაზეც ჩვენც ცეცხლით ვუპასუხებთ**, - დაამატა ისრაელის პრემიერ-მინისტრმა, - **ჩვენ შევეცადეთ პალესტინელებთან მოლაპარაკებების გზით წინ წაგვეწია მშვიდობის გზაზე, მაგრამ შევეჯახეთ სიძულვილისა და ფანატიზმის კედელს.**" არიელ შარონის თქმით, ღაზას სექტორის გასუფთავებით დაიწყება მშვიდობის ახალი ხანა, რომელიც რისკითაც სავსეა.

**"მესმის ღაზას სექტორიდან გამსვლელთა გულისტკივილი, მაგრამ ჩვენ ერთი ხალხი ვართ, ისტორიის ერთი ფურცელი მთავრდება, ვიზიარებთ თქვენს ტკივილსა და ცრემლს,** - მიმართა არიელ შარონმა ებრაელებს, - **ეს გეგმა იმიტომ შევიმუშავე, რომ მჯერა, ღაზას სექტორის დატოვება ისრაელისათვის აუცილებელია.**"

აღსანიშნავია, რომ 21 კოლონიიდან, რომელთა ევაკუაციაც უნდა განხორციელდეს ღაზას სექტორის გასუფთავებისთვის შემუშავებული გეგმის თანახმად, გუშინ სამი მთლიანად დააცარიელეს, ხუთის გასუფთავების მხოლოდ დაწყება მოხერხდა, ხოლო შვიდი გამზადდა გასუფთავებისთვის. გეგმის მიხედვით სექტორში ექვსი ახალშენიღა უნდა დარჩენილიყო.

# ავიაკატასტროფა ვენესუელაში

ვენესუელაში სამშაბათს სამგზავრო თვითმფრინავმა კატასტროფა განიცადა. თვითმფრინავის მფლობელი კოლუმბიური ავიაკომპანიის - "ვესტ კარიბიან"-ის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ ბორტზე მყოფი 152 მგზავრისა და ეკიპაჟის 8 წევრიდან, სავარაუდოდ, არც ერთი არ გადარჩენილა.

თვითმფრინავი "MD-80" პანამიდან მარტინიკაში ასრულებდა რეისს. დისპეტჩერებმა კოლუმბიური ავიაკომპანიის ლაინერთან კავშირი ადგილობრივი დროით, დაახლოებით დილის 04.00 საათზე დაკარგეს. ამ დროისთვის, თვითმფრინავი ვენესუელას საჰაერო სივრცეში იმყოფებოდა.

ვენესუელას შინაგან საქმეთა მინისტრმა ჯესე ჩაკონმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ პილოტმა ვენესუელას საჰაერო სივრცეში შესვლა და ქალაქ მარაკაიბოს აეროპორტში დაშვება ითხოვა. მანვე დისპეტჩერებს შეატყობინა, რომ თვითმფრინავს პრობლემები შეექმნა ჯერ ერთ, შემდეგ კი მეორე ძრავაზე. ამის შემდეგ ლაინერი რადარების ეკრანებიდან გაქრა. თვითმფრინავი, სავარაუდოდ, ვენესუელას ჩრდილო-დასავლეთში, ქალაქებს ლა-კუჩარიტას და ლა-ნეგროს შორის მდებარე რაიონში ჩამოვარდა.

ვენესუელას ხელისუფლებამ ჩამოვარდნილი ავიალაინერის მოძებნის ბრძანება გასცა. ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალების ვერტმფრენები და თვითმფრინავები შემთხვევის რაიონში იმყოფებიან და საძიებო სამუშაოებს მთელი ღამის განმავლობაში აწარმოებდნენ.



*ეს უკვე მეორე მსხვილი ავიაკატასტროფაა სამი დღის მანძილზე.*

თვითმფრინავი პანამიდან მარტინიკაში მიფრინავდა და მის ბორტზე, ძირითადად, ტურისტები იყვნენ.

"ვესტ კარიბიენი" 1998 წლიდან ფუნქციონირებს. მიმდინარე წლის მარტში ამ ავიაკომპანიის კიდევ ერთმა თვითმფრინავმა განიცადა კატასტროფა. ორძრავიანი მცირე თვითმფირნავი კუნძულ ოლდ პროვიდენსიდან აფრენის შემდეგ ჩამოვარდა - დაიღუპა 8 ადამიანი, ხოლო ექვსი დაშავდა.

ეს უკვე მეორე მსხვილი ავიაკატასტროფაა სამი დღის მანძილზე. შეგახსენებთ, კვირას საბერძნეთის დედაქალაქთან კვიპროსის ავიაკომპანიის "ჰელიოს"-ის კუთვნილი ბოინგ-737 ჩამოვარდა, რის შედეგადაც 121 ადამიანი დაიღუპა.

**24 საათი**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ჩოხატაურის რაიონის, სოფელ ხევის სკოლის რეაბილიტაციის სამუშაოები.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **სოფელ ხევის სათემო კავშირთან "ხევი 2005"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"ხევი 2005"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ჩოხატაურის რაიონი,**
**სოფელ ხევის სკოლის შენობა**
**საკონტაქტო პირი ნანი კვაჭანტირაძე, სათემო კავშირი "ხევი 2005"-ს თავმჯდომარე**

**2005 წლის 19 აგვისტოდან 10-დან 18 საათამდე** (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **2 800** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ჩოხატაურის რაიონი,**
**სოფელ ხევის სკოლის შენობა**
**საკონტაქტო პირი ნანი კვაჭანტირაძე, სათემო კავშირი "ხევი 2005"-ს თავმჯდომარე**
**2005 წლის 16 სექტემბრის 16 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **16:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ოზურგეთის რაიონის, სოფელ ვაკიჯვარის სკოლის რემონტის სამუშაოები.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **სოფელ ვაკიჯვარის სათემო კავშირთან "ვაკიჯვარი XXI"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"ვაკიჯვარი XXI"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ოზურგეთის რაიონი,**
**სოფელ ვაკიჯვარის სკოლის შენობა**
**საკონტაქტო პირი ლევან გიორგაძე, სათემო კავშირი "ვაკიჯვარი XXI"-ს თავმჯდომარე**

**2005 წლის 19 აგვისტოდან 10-დან 18 საათამდე** (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **2 000** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ოზურგეთის რაიონი,**
**სოფელ ვაკიჯვარის სკოლის შენობა**
**საკონტაქტო პირი ლევან გიორგაძე, სათემო კავშირი "ვაკიჯვარი XXI"-ს თავმჯდომარე**
**2005 წლის 16 სექტემბრის 14 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **14:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

## აშშ-ს საელჩო თბილისში აწყობს ღია აუქციონს

2005 წლის 10 სექტემბერს აშშ საელჩო თბილისში აწყობს ღია აუქციონს. აუქციონზე წარმოდგენილი იქნება **ნახმარი და დაზიანებული საყოფაცხოვრებო მოწყობილობები, ავეჯი და კომპიუტერული ტექნიკა**.

აუქციონზე წარმოდგენილი ყველა ნივთი იყიდება "არსებულ მდგომარეობაში" გარანტიის გარეშე. საჭიროების შემთხვევაში მყიდველი პასუხისმგებელია აუქციონზე შეძენილი ნივთების განბაჟებაზე და სრულად იხდის საბაჟო გადასახადებს.

მსურველთათვის ნივთების დათვალიერება მოხდება დილის 9:00-დან 11:00 სთ-მდე. აუქციონი დაიწყება დილის 11:00სთ-ზე.

აუქციონი ჩატარდება შემდეგ მისამართზე:

**ლილო, რუსთაველის ქ. 4, აშშ საელჩოს საწყობის ტერიტორია**. ცნობებისათვის დარეკეთ: 43-30-71.

რკინიგზის საავადმყოფოს

## სამედიცინო კოლეჯი

აცხადებს მიღებას:
1. მედდის; 2. ბებია ქალის; 3. ფარმაცია; 4. სტომატოლოგია; სპეციალობებზე
მიიღებიან მოსწავლეები 9 და 11 კლასის განათლებით.
აღსანიშნავია:
**სწავლა მიმდინარეობს დღის საათებში 10.00 სთ-დან 15.00 სთ-მდე.**
გაიცემა **სახელმწიფო დიპლომი.**
მისამართი: დიღმის მასივი,
რკინიგზის ცენტრალური საავადმყოფო. ტელ: 899 512524

მოკლედ

## ნაკატა „ბოლტონის" ნაწილია

"როიტერის" ცნობით, იაპონიის ნაკრებისა და იტალიის "ფიორენტინას" ნახევარმცველი ჰიდეტოსი ნაკატა ახალ სეზონს პრემიერლიგაში, კერძოდ "ბოლტონში" გაატარებს.

"კმაყოფილი ვარ იმით, რომ ახალ გამოცდილებას შევიძენ - ინგლისის ჩემპიონატში თამაშის გამოცდილებას. ვაპირებ, რაც შეიძლება სწრაფად გავხდე "ბოლტონის" ნაწილი და მონაწილეობა მივიღო სეზონში, რომელიც იქნება ძალზე მნიშვნელოვანი როგორც გუნდისთვის, ისე ჩემთვის".

## „ბარსამ" რონალდინიო 126 მილიონად დაიტოვა

"ბარსელონას" ბრაზილიელი ლეგიონერი რონალდინიო მზადაა, კლუბთან 2010 წლამდე ახალი ხელშეკრულება გააფორმოს. რონალდინიოს "ბარსელონაში" დარჩენა იმითაა აღსანიშნავი, რომ ესპანური კლუბი ბრაზილიელს 126 მილიონ ევროს გადაუხდის!

ბრაზილიის საინფორმაციო საშუალებებზე დაყრდნობით, რონალდინიოს ძმისა და აგენტის რობერტო ასიშის განმარტებით, "ბარსასა" და რონალდინიოს შორის შეთანხმებაზე ხელმოწერის ცერემონია აგვისტოს ბოლოს შედგება.

## კალათბურთმა დაკარგა ალექსანდრ გომელსკი

გუშინ დილით 78 წლის ასაკში გარდაიცვალა მოსკოვის საკალათბურთო გუნდის ცესკა-ს პრეზიდენტი, სსრკ-ს დამსახურებული მწვრთნელი, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი მწვრთნელი, კალათბურთის ლეგენდა ალექსანდრ გომელსკი.

პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ალექსანდრ გომელსკი მწვრთნელის რანგში არაერთხელ გახდა სსრკ-ს, ევროპის, მსოფლიოს, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და ევროპის ჩემპიონთა თასის გამარჯვებული.

ცნობილი მწვრთნელი ასევე წარდგენილია სპრინგფილდის (აშშ) ყველა ვარსკვლავთა საკალათბურთო დიდების მუზეუმში.

# ალმათური ამბები: ახალგაზრდებმა მოიგეს, ჭერი უფროსებზეა

მიხეილ აბაიშვილი

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე კობა ჟორჟიკაშვილის დებიუტი ოფიციალურ შესარჩევ შეხვედრაშიც წარმატებული აღმოჩნდა. გუშინ ჩვენმა 21-წლამდელებმა ალმათიში მასპინძელ თანატოლებთან ითამაშეს და მინიმალური ანგარიშით, 1:0 გაიმარჯვეს. შეგახსენებთ, რომ ზუსტად ერთი კვირის წინ, ჟორჟიკაშვილის შეგირდებმა ამხანაგურ შეხვედრაშიც იმარჯვეს - თბილისში დაამარცხეს აზერბაიჯანის ნაკრები ანალოგიური ანგარიშით 1:0.

საქართველოს ახალგაზრდულმა გუშინდელი მატჩი შემდეგი შემადგენლობით ჩაატარა: რევიშვილი, თომაშვილი (მჭედლიშვილი, 70`), ელბაქიძე, ღვინიანიძე, ელიავა, გრიგალაშვილი, ჟღენტი (ბჟალავა, 46`), ფიფია, წინამძღვრიშვილი (ჩირიკაშვილი, 87`), გოგუა.

მატჩის პირველი ნახევარი ქართველი ფეხბურთელების სრული სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობით წარიმართა. შეხვედრის ერთადერთი გოლი 27-ე წუთზე გრიგალაშვილის აქტიურობას მოჰყვა, რომელიც ფლანგზე დრიბლინგით ორ მეტოქეს გასცდა და მასპინძელთა საჯარიმოში ჩააწოდა; ბურთს მაღალ ნახტომში წინამძღვრიშვილი შესწვდა და თავური დარტყმით კარის ბადეში მიუჩინა ადგილი. შეხვედრის მეორე ნახევრის დასაწყისშივე სერბმა მსაჯმა ჯერ ელიავა გაგვიძევა, შემდეგ უწყინარ ვითარებაში რევიშვილის კარში პენალტი დანიშნა. ბედად, მასპინძლებმა თერთმეტმეტრიანი დარტყმა ვერ გამოიყენეს - ბურთი კარს ზემოდან გადასცდა.მატჩის მიწურულს მსაჯმა სტატუს-კვო აღადგინა და მასპინძლებიც 10 კაცის შემადგენლობით დატოვა, თუმცა, ამ გარემოებას საბოლოო შედეგზე გავლენა არ მოუხდენია.

"ჩვენ კარგად გვყავდა მეტოქე შესწავლილი და ვიცოდით, რომ განაპირა მცველები მაინცადამაინც მაღალი კლასით ვერ გამოირჩეოდნენ. შეხვედრაში გატანილი ერთადერთი გოლიც სწორედ ფლანგურმა შეტევამ მოგვიტანა. საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში გამოძახებულთა დიდი ნაწილი 1988 წელს დაბადებული ფეხბურთელებია. ახალგაზრდებზე აქცენტს იმ მიზნით ვაკეთებთ, რომ ეროვნულ ნაკრებს მაღალი კლასის ცვლა მოვუმზადოთ", - განაცხადა მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე კობა ჟორჟიკაშვილმა.

რაც შეეხება ეროვნულ ნაკრებს, ჩვენი მთავარი გუნდი ყაზახებთან დღეს ითამაშებს და მატჩი თბილისის დროით 16 საათზე დაიწყება. კახა კალაძე და დავით მუჯირი ნაკრებს უკვე შეუერთდნენ, ხოლო ლადო ახალაია, მალხაზ ასათიანის მსგავსად, ალმათიში არ ჩასულა. თუ ასათიანს ამაში ძველმა ტრავმამ შეუშალა ხელი, ახალაიას ყაზახეთის დედაქალაქში არჩასვლის მიზეზი ჯერჯერობით უცნობია.

გუშინვე გაიოზ დარსაძემ ადგილობრივი მედიისთვის პრესკონფერენცია გამართა.

"საქართველოს ნაკრები ამჟამად ხელახალი ჩამოყალიბების, ფორმაციის პროცესშია და ჩვენი მთავარი მიზანია, გუნდი მომდევნო შესარჩევი ციკლისთვის, რაც შეიძლება უკეთ მოვამზადოთ. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ხვალ მოსაგებად არ გამოვალთ. არა მხოლოდ ხვალ, მომდევნო შესარჩევ შეხვედრებში საქართველოს ნაკრები მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლებს", - აღნიშნა დარსაძემ.


# განცხადება ორეტაპიანი ღია საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი" ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის, მმართველობითი და თანმდევი საგანმანათლებლო მომსახურების შესყიდვის მიზნით აცხადებს ორეტაპიან ღია ტენდერს სამ ლოტად, "გლობალური ფონდის" პროექტის *"აივ/შიდსის პრევენციისა და კონტროლის ეფექტური განხორციელების მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების გაძლიერება საქართველოში 2003-2007 წლებში"* (პროექტი NGEO-202-G01-H-00) პროგრამის ფარგლებში შემდეგ მომსახურებაზე შემსრულებლების გამოსავლენად:

**I ლოტი - აივ/შიდსისა და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების პრევენცია მაღალი რისკის ჯგუფებში, რაც ითვალისწინებს:**
- საქართველოს ტერიტორიაზე 2 საკონსულტაციო, სადიაგნოსტიკო და სამკურნალო ცენტრის (ქქ.-ბი თბილისი, ზუგდიდი) ფუნქციონირების უზრუნველყოფას;
მაღალი რისკის ჯგუფის წარმომადგენლების უზრუნველყოფას ნებაყოფილობითი კონსულტირებით, ტესტირებითა და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების უფასო დიაგნოსტიკითა და მკურნალობით;
- საგანმანათლებლო მასალების შექმნას, დაბეჭდვასა და გავრცელებას;
აივ/შიდსისა და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების პრევენციას პოლიციელებში;
- მაღალი რისკის ჯგუფის წარმომადგენლების უზრუნველყოფას საგანმანათლებლო მასალებით და სხვა უფასო სახარჯი მასალებით.

**II ლოტი - ახალგაზრდებს შორის ცოდნის დონის ამაღლება აივ/შიდსის და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების პრევენციის მიზნით, რაც ითვალისწინებს:**
- ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მასალების შექმნას;
სკოლებში ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამის დამკვიდრებას;
- ტრეინერების მომზადებას ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების განსახორციელებლად;
თანასწორგანმანათლებელთა პროგრამების განხორციელებას სტუდენტ ახალგაზრდებში (მათ Dშორის იძულებით გადაადგილებულ პირებში);
- სტუდენტი ახალგაზრდების, მათ შორის იძულებით გადაადგილებული სტუდენტების, ტრეინინგს - მათი თანასწორგანმნათლებლებად ჩამოყალიბების მიზნით;
ნებაყოფლობითი კონსულტირებისა და ტესტირების ცენტრების გახსნას ახალგაზრდებისათვის;
- ნებაყოფლობითი ტესტირებისა და კონსულტირების ახალგაზრდული ცენტრების თანამშრომელთა ტრეინინგს, ნებაყოფილობითი ტესტირებისა და კონსულტირების საკითხებზე;
საინფორმაციო-საგანამანათლებლო კამპანიის განხორციელებას, რაც გულისხმობს საგანმანათლებლო მასალების გავრცელებას სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებსა და ახალგაზრდების თავშეყრის ადგილებში (კინოტეატრები, სპორტული კლუბები, ინტერნეტ კაფეები და სხვა). ასევე ინფორმაციის გავრცელებას მასმედიის საშუალებებით, შიდსისა და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების პრევენციულ საკითხებზე;
- ახალგაზრდების ინფორმირებულობის დონის ამაღლებას აივ-ინფექცია შიდსისა და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების საფრთხის შესახებ და მათში უსაფრთხო ქცევის ნორმების დამკვიდრების ხელშეწყობას.

**III ლოტი - დედიდან შვილზე შიდსის ვირუსის გადაცემის პრევენცია, რაც ითვალისწინებს:**
ქალთა კონსულტაციებსა და სამშობიარო სახლებში მომუშავე სამედიცინო პერსონალის ტრეინინგით უზრუნველყოფას აივ ინფექცია/შიდსის ეპიდემიოლოგიის, დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და დედიდან შვილზე ვირუსის გადაცემის პრევენციის საკითხებში;
- აივ პოზიტიური ყველა ორსულის ანტირეტროვირუსული მკურნალობით უზრუნველყოფას;
აივ ინფიცირებული ყველა დედის, ახალშობილის ანტირეტროვირუსული პროფილაქტიკური მკურნალობით უზრუნველყოფას;
- დედიდან შვილზე აივ ინფექციის გადაცემის პროფილაქტიკის საკითხებში თემატური საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის განხორციელებას.

2. მომსახურების გაწევის ვადაა: 2005 წლის 16 სექტემბერი - 2006 წლის 28 თებერვალი.

3. დაინტერესებულ პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების **ქართულ ენაზე** უნდა წარმოადგინონ 2005 წლის პირველი სექტემბრის 10.00 სთ.-დან პირველი სექტემბრის 17:00 სთ.-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზირი N23ა, II კორპუსი, მე-5 სართული, სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი".

4. საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" თანახმად, შესყიდვაში მონაწილეობის მსურველმა უნდა უზრუნველყოს შემდეგი ცნობებისა და ინფორმაციის წარმოდგენა:

4.1 *იურიდიულმა პირმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:*
- რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
შესაბამისი ორგანოს დადგენილება რეგისტრაციის შესახებ (პირის რეგისტრაციის ადგილის რაიონული სასამართლოდან);
- ცნობები რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის, გაკოტრების, სანაციის საქმეთა არარსებობის შესახებ (შესაბამისად, პირის რეგისტრაციის ადგილის რაიონული სასამართლოდან);
ცნობა ქონებაზე ყადაღის საქმის არარსებობის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
- ცნობა, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის სამმართველოდან);

4.2 *ფიზიკურმა პირმა უნდა წარმოადგინოს:*
- ცნობა, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა (შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);
ცნობა, რომ უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის სამმართველოდან);
- ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე (პირის საცხოვრებელი ადგილის რაიონული სასამართლოდან).

5. **I ლოტში** მონაწილეობის მსურველმა იურიდიულმა და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების სახით დამატებით უნდა წარმოადგინონ:
1. ინფორმაცია მსგავსი პროგრამების განხორციელების გამოცდილებაზე;
2. ინფორმაცია კადრების კვალიფიკაციის შესახებ (აღნიშნულ საქმიანობებში სახელმწიფო სერთიფიკატისა და არსებული კვალიფიკაციების მითითებით);
3. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიცენზიები /ნებართვები აღნიშნული საქმიანობის უზრუნველყოფისათვის.

**II ლოტში** მონაწილეობის მსურველმა იურიდიულმა და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების სახით დამატებით უნდა წარმოადგინონ:
1. ინფორმაცია ანალოგიური პროგრამების განხორციელების გამოცდილების შესახებ;
2. ინფორმაცია ახალგაზრდული მხარდამჭერი ცენტრების შექმნისა და მათთან მუშაობის გამოცდილების შესახებ;
3. ინფორმაცია პერსონალის კვალიფიკაციასა და გამოცდილებაზე;
4. ინფორმაცია ანალოგიური სასწავლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების გამოცდილებაზე;

**III ლოტში** მონაწილეობის მსურველმა იურიდიულმა და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების სახით დამატებით უნდა წარმოადგინონ:
1. ინფორმაცია კადრების კვალიფიკაციის შესახებ (ინფორმაცია შესაბამისი სახელმწიფო სამედიცინო სერთიფიკატის მქონე და დედიდან შვილზე აივ ვირუსის გადაცემის პროფილაქტიკური მკურნალობის გამოცდილების მქონე კადრების/ექიმების კვალიფიკაციის შესახებ);
2. ინფორმაცია დედიდან-შვილზე აივ ინფექციის გადაცემის პროფილაქტიკის თემაზე საინფორმაციო-საგანმანათლებლო საქმიანობის გამოცდილების შესახებ;
3. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიცენზიები /ნებართვები აღნიშნული საქმიანობის უზრუნველყოფისათვის.

6. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, 3 ეგზემპლარად (მათ შორის: ერთი ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი, 2 ასლი), ხოლო უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან ნოტარიალურად დამოწმებული თარგმანის სახით.

7. საკვალიფიკაციო შერჩევა დაიწყება 2005 წლის 2 სექტემბრიდან წარმოდგენილი დოკუმენტების ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.

8. საკვალიფიკაციო შერჩევაში არ დაიშვებიან ის პირები, რომლებიც მე-3 მუხლში გათვალისწინებულ ვადებში ვერ წარმოადგენენ საკვალიფიკაციო დოკუმენტაციას და/ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი.

9. საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს **პირველადი სატენდერო წინადადება** *ფინანსური მახასიათებლების გარეშე* დახურულ კონვერტში, ხელმოწერილი ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელის მიერ. **პირველადი სატენდერო წინადადება** უნდა შეიცავდეს:

9.1 მომსახურების აღწერილობასა და მეთოდოლოგიას თითოეული ლოტის მიხედვით ქვემოთ აღნიშნული მიზნების განსახორციელებლად:

**I ლოტის მიზანია:**
- საქართველოს ტერიტორიაზე (ქქ.-ბი თბილისი, ზუგდიდში) მინიმუმ 2 (ორი) ერთეული საკონსულტაციო (VCT), სადიაგნოსტიკო და სამკურნალო ცენტრის ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
მაღალი რისკის ჯგუფის წარმომადგენლების ნებაყოფილობითი ტესტირებითა და კონსულტირებით უზრუნველყოფა (650 პაციენტი);
- სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების უფასო დიაგნისტიკა და მკურნალობა (800-პაციენტისათვის);
მაღალი რისკის ჯგუფის წარმომადგენლებისათვის, როგორც თანასწორგანმანათლებლების ტრეინინგი;
- აივ/შიდსისა და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების პრევენციაზე იძულებით გადააგილებული პირების ტრეინინგი, საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებითა და სხვა სახარჯი მასალებით უზრუნველყოფა;
აივ/შიდსის ვირუსისა და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების პრევენცია პოლიციელებში (100 პოლიციელი);
- მაღალი რისკის ჯგუფის წარმომადგენლების საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალებითა და სხვა სახარჯი მასალებით უზრუნველყოფა.

**II ლოტის მიზანია:**
1500 სკოლის უფროსკლასელი მოსწავლის მოცვა, რომლებმაც უნდა გაიარონ ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების პროგრამა;
- ცხოვრების ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების პროგრამის განხორციელება თბილისის 40 სკოლაში;
20 ტრეინერის ტრეინინგი, რომლებმაც უნდა განახორციელონ ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების პროგრამის სწავლება სკოლებში;
- 20 თანასწორგანმანათლებლის ტრეინინგი, რომლებმაც უნდა განახორციელონ თანასწორგანმანათლებელთა პროგრამა სტუდენტებში, მათ შორის იძულებით გადაადგილებულ ახალგაზრდებს შორის;
იძულებით გადაადგილებული 1000 ახალგაზრდის მოცვა თანასწორგანმანთელბელთა პროგრამის მეშვეობით;
- 500 ახალგაზრდის მოცვა ნებაყოფილობითი კონსულტირებისა და ტესტირების ცენტრების მეშვეობით;
ახალგაზრდული ნებაყოფილობითი კონსულტირებისა და ტესტირების 3 ახალი ცენტრის დაარსება და ამუშავება;
- უმაღლესი სასწავლებლის 6000 სტუდენტის მოცვა თანასწროგანმანათლებელთა საგანმანათლებლო პროგრამის გზით;
10000 ცალი საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალის შექმნა, დაბეჭდვა და გავრცელება;
- 10 კულტურული და სპორტული ღონისძიებების ორგანიზება;

**III ლოტის მიზანია:**
- ყველა აივ ინფიცირებული ორსულის 24 კვირიანი პროფილაქტიკური ანტირეტროვირუსული მკურნალობით უზრუნველყოფა;
ყველა აივ ინფიცირებული დედის ახალშობილის უზრუნველყოფა 6-კვირიანი პროფილაქტიკური ანტირეტროვირუსული მკურნალობით;
- "დედიდან შვილზე შიდსის ვირუსის გადაცემის პრევენციაზე" სამედიცინო პერსონალისათვის (მეან-გინეკოლოგები, პედიატრები, ნეონატოლოგები) სასწავლო მასალის მოზადება, დაბეჭდვა და გავრცელება;
დედიდან-შვილზე აივ ინფექცია/შიდსის გადაცემის პროფილაქტიკის თემატური მედია-კამპანიის განხორციელება;
- 10000 ცალი საინფორმაციო მასალის მომზადება, დაბეჭდვა და გავრცელება;

9.2 გასაწევი მომსახურების ვადებს (გეგმა-გრაფიკი);

9.3 არსებული და აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ინვენტარი, რომლის საშუალებითაც განხორციელდება შესაბამისი ლოტის მომსახურება;

9.4 ინფორმაციას სუბკონტრაქტორების მიერ გასაწევი მომსახურების შესახებ და მათთან დადებული განძრახვათა შესახებ ხელშეკრულებების ნოტარიალურად დამოწმებულ ასლებს (არსებობის შემთხვევაში);

9.5 სუბკონტრაქტორების მონაწილეობის შემთხვევაში მათ მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს მე-4 პუნქტში აღნიშნული, ასევე ლოტში მის მიერ გასაწევ საქმიანობაზე შესაბამისი საკვალიფიკაციო მონაცემები.

10. პირველადი სატენდერო წინადადებების შეფასებისას მხედველობაში მიიღება მათი შესაბამისობა თითოეული ლოტის მიზნებთან.

11. ინფორმაცია პრეტენდენტად დამტკიცების, სატენდერო დოკუმენტაციის გაცემის და საბოლოო სატენდერო წინადადებების წარმოდგენის შესახებ ეცნობებათ ტენდერში მონაწილეებს წერილობით კანონით გათვალისწინებულ ვადებში.

12. აღნიშნულ ღია საერთაშორისო ტენდერში შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნინო ნადაშვილი, ეკა ქილიფთარი; სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი", მისამართზე: ქ. თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. N23, II კორპუსი, მე-5 სართული, ტელ: 331-1839, 331-1939, ფაქ.: 331-934, E-mail: globalfand@caucasus.net

# მეშვიდე ცა ანუ ჯოჯოხეთის მეშვიდე წრე?

ტურ დე ფრანსის გმირი

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ-ში

2 ივლისს მარცხენა ხელზე უცვლელი ნიშნით - “კიბოს საწინააღმდეგო” ყვითელი სახვევით და ტელეარხ “დისქავერის” ახალ თეთრ-ცისფერ ფორმაში გამოწყობილმა ლენს არმსტრონგმა ტურ დე ფრანსის 92-ე სტარტი აიღო და სამი კვირის შემდეგ ზედიზედ უკვე მეშვიდე გამარჯვება იზეიმა.

მას არავისთვის არაფერი ჰქონდა დასამტკიცებელი. მან თავისი სახელი უკვე უკვდავყო. და არა მარტო სპორტში. ახლახანს გამოვიდა მასზე ახალი წიგნი - “ლენს არმსტრონგის ომი”. მას შეიძლება ასეც რქმეოდა: “როგორ იწრთობოდა ფოლადი”.

ის არის ტეხასელი ველოსიპედზე. ეს კი უკვე რაღაცას ნიშნავს. იყო დრო, როდესაც “ტეხასელი ველოსიპედზე” თითქმის შეურაცხყოფა იყო, ეჭვის შეტანა შტატის მცხოვრების ვაჟკაცობაში, რომელიც შეზრდილი იყო ცხენის უნაგირთან და სწრაფი ავტომობილის სავარძელთან. გადაადგილების ორთვლიანი საშუალების მუხრუჭებზე დაჭერა კი რაღაც ქალურს ნიშნავდა. პატარა არმსტრონგს ეს აღიზიანებდა და აბრაზებდა და იგი როგორც გიჟი, ისე დაქროდა ტეხასის ავტოსტრადებზე. ის ეხლაც გიჟია, სიგიჟე, რომელიც რკინის ნებისყოფითაა მოთოკილი. ტეხასის ველოსიპედისტთა ასოციაციის მონაცემების თანახმად, ტეხასის ჰაივეისა და ფრივეიზე ყოველწლიურად 50 ველოსიპედისტზე მეტი იღუპება.

ადამიანმა, რომელმაც დაამარცხა კიბო და მილიონობით ამერიკელი ველოსიპედისტი-მოყვარული გამოიყვანა შეერთებული შტატების ავტოსტრადებზე, მათ გამო იგრძნო პასუხისმგებლობა და დაიწყო დამცველი მუზარადების ტარების პროპაგანდა, არწმუნებდა მაჩო-ტეხასელებს, რომ ეს იგივეა, რაც შუასაუკუნეების რაინდების მიერ მუზარადების ტარება.

ვინც კარგად იცნობდა არმსტრონგს, თვლიდა, რომ ტურ დე ფრანსში მისი მეშვიდე სტარტი ლენსის კიდევ ერთი ომი იქნებოდა, შეიძლება ბრძოლაც. ახალ სპონსორთან ახალი ხელშეკრულების ხელმოწერით არმსტრონგმა უკანდასახევი გზა მოიჭრა, თუმც როგორც “ნიუ იორკ თაიმსის” მიმომხილველი ჯორჯ ვესი წერს: “მისი შესანიშნავი ფიზიკური თვისებები და გამჭრიახი გონება მას ჩასჩურჩულებენ: “გეყოფა ძმაო!” ამასთან ერთად გასულ წელს არმსტრონგმა 28 მილიონი დოლარი მიიღო. და მართლაც “გეყოფა ძმაო!”

მაგრამ არმსტრონგს არ ჰყოფნის. მას უყვარს ბეწვის ხიდზე სიარული...

ივნისი. საფრანგეთის სოფელი მორზინი. სასტუმრო “ლე კრე”.

საფრანგეთის ეს კუთხე - Haute Savoie - შვეიცარიას მაგონებს, ამბობს არმსტრონგი და ხელებს ალპებისკენ იშვერს. - მე ამ ოტელში ბოლო წლების განმავლობაში ათჯერ მაინც ვიქნები გაჩერებული. როგორც მრბოლელი, მე არასოდეს ვიქნები მისი სტუმარი.

მასთან ერთად სასტუმროში ლევი ლიპჰაიმერი ცხოვრობდა, ერთ დროს მისი გუნდის წევრი, ბოლოჯერ კი მეტოქე. ლიპჰაიმერი სიტყვაძუნწია. მის მაგივრად ცოლი, ყოფილი მრბოლელი, ოდესა ლაპარაკობდა და თან სასტუმროს ფოიეში მიკროძაღლებს - ბანდიტს და ტრუპერს ასეირნებდა. იგი ველოსიპედით ლენსის მეგობართან შერილ ქროუსთან ერთად სეირნობდა. ახლა ლენსი და შერილი სახლს აშენებენ ტეხასის შტატ ოსტინში. არმსტრონგი ამბობს:

“როდესაც ველოსიპედს დავემშვიდობები, შერილის ელექტროგიტარის ტექნიკოსად ვიმოგზაურებ მსოფლიოს გარშემო”. და შემდეგ მოულოდნელად, ლოგიკური კავშირის გარეშე, - “მე არ ვაპირებ წავაგო ჩემი ბოლო ტური!”

შეიძლება მას უნდოდა ეთქვა ბოლოს წინა, ან ბოლოს ბოლოს წინა? ოტელი “ლე კრე” უფრო კომფორტულია (არა კომფორტაბელური), ვიდრე ახალი სახლი ოსტინში. თავისი ველოსიპედი უფრო ახლოა, ვიდრე მეგობრის გიტარა (ის ჯერ კიდევ ყოყმანობს, ითხოვოს თუ არა შერილი, კიდევ გააჩინოს ბავშვები?). კიდევ რა უნდა ამ ადამიანს? ტურ დე ფრანსის შვიდჯერ მოგების შემდეგ იგი ამერიკელებისთვის, და მთელი მსოფლიოსთვისაც მაიკლ ჯორდანის და მუჰამედ ალის ტოლი გახდა. მაგრამ ბორბლებმა უნდა იმოძრაოს, როგორც მუდმივმა ძრავამ. გაჩერება ვარდნას



ლენს არმსტრონგი

ნიშნავს. “ლენს არმსტრონგის ომის” ავტორმა, დანიელ კოილმა, როგორც ორსაჯდომიანი ველოსიპედის მეწყვილემ, მთელი წელი თავის გმირთან ერთად გაატარა. კოილი წერს, რომ არმსტრონგი ისეთივე დაუცხრომელია, როგორც ბავშვობაში, როდესაც ის და მისი ჯერ ძალიან ახალგაზრდა დედა იბრძოდნენ არსებობისთვის. არმსტრონგისთვის ველოსიპედი არა მხოლოდ სპორტული აღჭურვილობაა, არამედ ცხოვრების წესიც. როგორც კოილი წერს, არმსტრონგი ყოველთვის ეძებს ახალ განმარტოებულ მთას, სადაც არ იფიქრებს დაშლილ ოჯახზე, სამ შვილზე, რომლებიც მას ძალიან უყვარს, 1996 წლის უბედურებაზე - კიბოზე, სისხლისმწოველ ინსპექტორებზე, იურისტებზე, სპონსორებსა და აგენტებზე, რომლებიც ფულს მასზე და მისთვის აკეთებენ.

მაგრამ ასეთ მთაზეც კი არმსტრონგი არ ივიწყებს სპორტულ ბრძოლებს, პირიქით. როდესაც, როგორც ალპინისტი, დაიპყრობს მწვერვალს, და იქ დატოვებს ბორბლების კვალის ზიგზაგებიან ავტოგრაფს, მობილური ტელეფონით ურეკავს თავის კოლეგებსა და ტურ დე ფრანსის მეტოქეებს და გამაოგნებელ შეკითხვას უსვამს: “აბა გამოიცანით, ახლა სად ვარ?” გამოიცნო ძნელიცაა და ადვილიც. ძნელი იმიტომაა, რომ არმსტრონგისას რას გაიგებ. ადვილი იმიტომ, რომ იგი ყოველთვის მთის მწვერვალზეა. ეს თავმომწონეობა კი არა ფსიქოლოგიური შეტევაა. მისი ზარები, ძირითადად კვირაობით და დღესასწაულებზე, მეტოქეებს ანერვიულებს, წონასწორობიდან გამოყავს.

ველორბოლა რაღაცით პოკერს წააგავს. გამოიყურებოდე საკაიფოდ და ამოუცნობად - ნიშნავს იყო საკაიფო და ამოუცნობი. არმსტრონგი სრულიად ფლობს თავის სახეს, პოკერის ჩემპიონის სახეს. ერთ-ერთი გერმანელი ჟურნალისტის სიტყვებით, არმსტრონგი თავის მეტოქეებს ძირს უთხრის, როდესაც მის სახეზე ჩნდება “მკვდარი ელვის პრესლის ღიმილი” - ალფა-მამრის უპირატესობის ნიშანი”. მაგრამ მთავარი აქ ისაა, რომ მკვდარი როკის მეფის შიშის მომგვრელი ღიმილი ლენსის ტუჩებზე მაშინ ჩნდება, როდესაც მას ძალა გამოელევა და აღარ შეუძლია სიჩქარის მომატება.

სიმართლე გითხრათ მე არ მჯეროდა, რომ არმსტრონგი კიდევ გაიმარჯვებდა. მჯეროდა სხვა რამის: მას შეუძლია საოცრების მოხდენა. საოცრების გარეშე, მისი გამარჯვება წარმოუდგენლი მეგონა.

წინა წლის ტურ დე ფრანსის მოგების შემდეგ არმსტრონგი დიდხანს, გასაოცრად დიდხანს, თითქმის დეკემბრამდე ფიქრობდა, ღირს თუ არა ცდა იმისა, რომ მეშვიდე ცაზე მოხვედრილიყო? ამიტომ იგი თავის არასაუკეთესო ფორმაში იყო აპრილის ტურ დე ჯორჯიას წინ. თვითონ თავის შედეგებს, როგორც “კატასტროფას” ისე ახასიათებს. ის ფინიშთან მეცხრე მივიდა, მთელი ორი წუთით ჩამორჩა თავის ყოფილ თანაგუნდელს ფლოიდ ლენდისს. მართალია, რბოლის ერთ-ერთი ეტაპის მოგებისას, ბრესტაუნის მწვერვალზე, არმსტრონგი ლენდისს აღიზიანებდა, უთითებდა რა ხან მასზე და ხან საათზე, თითქოსდა საყვედურობდა ფლოიდს იმას, რომ იგი მისი გუნდიდან, როგორც დეზერტირი წავიდა.

წარუმატებელი ტურ დე ჯორჯიას შემდეგ არმსტრონგი სერიოზულად შეუდგა ვარჯიშს. ის თანდათანობით შედიოდა თავის ჩვეულ ფორმაში. ტურ დე ფრანსის გენერალური რეპეტიცია არის Criterium du Dauphin Libere-ს რბოლა, საფრანგეთის სამხრეთით Aix-les-Bains-დან Provence-მდე და შემდეგ ჩრდილოეთით ალპებში. ამ რვადღიან დისტანციას ველომრბოლელები “ბრუტალურს” ეძახიან. მას ასევე ტურ დე ფრანსის გოდორყურს, ადვილად დასაჭერ თევზს ეძახიან, და ტყუილადაც არა. როგორც “რიდერს დაიჯესტი” უწოდებს - ძნელად მოსანელებელი გოდორყური (სიტყვების თამაში: “დაიჯესტი” “მონელებას” ნიშნავს მ.ს.). Dauphine-ს ფინიშს, ფრომენტიკაში ტურ დე ფრანსის სტარტიდან სამი კვირა აშორებს. ამ სამი კვირის განმავლობაში მრბოლელებმა უნდა დაისვენონ პირველი რბოლიდან, მაგრამ ფორმა უნდა შეინარჩუნონ მეორე, გადამწყვეტისთვის. Dauphine-ში მონაწილეობას იღებდა 160 მრბოლელი. ლიპჰაიმერი მესამე იყო, არმსტრონგი - მეოთხე და ლენდისი - მეთერთმეტე. ტურ დე ფრანსის მოგების მაძიებლებისთვის Dauphine-ს შედეგები ასე იყო შეფასებული: ლენსი დაჭრილია, ამიტომ საშიში. იანკების - ლიპჰაიმერის და ლენდისის მზე ვერ განათდება, სანამ ტეხასელი არ გავა დისტანციიდან.

მართალია, იყვნენ სხვა კრონპრინცები: კოლუმბიელმა სანტიაგო ბოტეროომ არმსტრონგს სამი წუთი მოუგო Col de Joux Plane-ს აღმართზე ასვლისას. ამავე დროს ლენსმა ლენდისთან მხოლოდ ერთი წამი წააგო. თუმც არმსტრონგს არ გაუმართლა. ერთი ფეხსაცმელი გაეხსნა მუხრუჭზე. ამის შესახებ არმსტრონგმა შეატყობინა ლენდისს, ასე რომ არ მომხდარიყო, შენ ჩემ უკან იქნებოდიო. რაზეც ლენდისმა სარკასტულად თქვა: “მომავალში ლენსმა ჩემგან ითხოვოს ჩემი მუხრუჭები “სპიდპლეი””. არმსტრონგის კიდევ ერთი საშიში მეტოქეა ყაზახი ალექსანდრე ვინოკუროვი, რომელიც გამოდის T-Mobile-ს სახელით, აქვს გასაოცარი აჩქარების უნარი და გამძლე ნერვები. “როდესაც მე ფორმაში ვარ, ვუტევ. როდესაც მე ფორმაში არ ვარ, ვუტევ”, - ამბობს “ვინო” (Dauphine-ში მან მეხუთე ადგილი დაიკავა).

კრონ-პრინცები ეჭვობდნენ, რომ არმსტრონგი ეშმაკობდა. ისინი თვლიდნენ, რომ იგი არ იხარჯებოდა ტურ დე ფრანსის დაწყებამდე ორი მიზეზის გამო. პირველი, მას უნდოდა შეექმნა ილუზია, რომ ის უკვე არ არის ძველი არმსტრონგი, და მეორე, რომ დაეკონსერვებინა ენერგია გადამწყვეტი ბრძოლებისთვის. თვითონ არმსტრონგი ასე ამბობდა: “წააგო Dauphine, ეს არაფერია. უფრო მნიშვნელოვანია, ძალა შეინარჩუნო. ეს განსაკუთრებით აუცილებელია, როდესაც ბერდები (არმსტრონგი ეხლა 34 წლისაა). შარშან ასე იყო: არმსტრომგმა Dauphine წააგო აიბენ მეიოსთან და ტაილერ ჰამილტონთან. მაგრამ ტურ დე ფრანსზე ის დაუმარცხებელი აღმოჩნდა (მეიომ და ტაილერმა დისტანცია არც კი დაამთავრეს).

წელს არმსტრონგი 170,9 ფუნტს (77,5 კგ) იწონიდა. თავის იდეალურ წონად იგი 169,8 ფუნტს თვლის. ასე რომ, მისთვის ფუნტიც კი ქიშმიშის ფუნტი არ არის. უფრო მეტად კი ფუნტი ქიშმიში არ არის ის, რომ ბოლო ხუთი ტურ დე ფრანსის განმავლობაში მას არ ჰყავდა სანდო საყრდენი ვიაჩესლავ ეკიმოვის სახით, რომელიც გაზაფხულზე, მასთან ერთად ვარჯიშისას ჩამოვარდა და დაიზიანა მკერდი. შეგახსენებთ, რომ ჰინკეიპი და ეკიმოვი ყოველთვის გადამწყვეტ როლს თამაშობდნენ იმაში, რომ მათი ბოსი, “გიჟურ, ავარიებით მდიდარ, ვაკეზე გამავალ ტურის პირველ ათ დღეს ერთი ნაკაწრის გარეშე გადიოდა”, - როგორც არმსტრონგის ბიოგრაფი, ოსტინ მერფი ამბობს. “ლენს უყვარს იყოს ლიდერ გუნდში და ამისთვის არ დახარჯოს ბევრი ენერგია, - ამბობს ჰინკეიპი.- მას უნდა იყოს წინ, მაგრამ არა პირველი. მას არ უნდა იყოს გარკვეული ტიპის ბიჭების გვერდით - იმპულსური, გამოკვეთილი სპრინტერების, ისეთის როგორიცაა ავსტრიელი რენე ჰასელბახერი”. ეკიმოვის წასვლით არმსტრონგის ფარი ასეთი სპრინტერების წინააღმდეგ დასუსტებულად გამოიყურებოდა, თუმც, მეორე მხრივ, არმსტრონგს წელს ძლიერი საყრდენი ყავდა, ნიჭიერი პაოლო სალვოდელის, “ძერას” სახით, რომელმაც ორჯერ მოიგო ჯირო. პაოლო ეხმარებოდა ლანსს მთიან დისტანციებზე. ასევე მნიშვნელოვანი იყო არმსტრონგის გუნდის ახალი წევრი - უკრაინელი პოპოვიჩი, რომელმაც ჯიროში მესამე ადგილი დაიკავა და რომელსაც მომავალ ტურ დე ფრანსში გამარჯვებას უწინასწარმეტყველებენ (პოპოვიჩი ახლა 25 წლისაა). მიუხედავად ამისა, ლენდისი თვლიდა, რომ არმსტრონგის წლევანდელი გუნდი უფრო სუსტი იყო, ვიდრე წინა წლების, რომელშიც თვითონ შედიოდა...

როდესაც კოილის წიგნს “ლენს არმსტრონგის ომი” კითხულობ, თავიდან ვერ იშორებ იმ განცდას, რომ მას არა სპორტული კომენტატორი, არამედ სამხედრო კორესპონდენტი წერდა. ფორმალურად ველორბოლა არაკონტაქტური სპორტია, მაგრამ ფორმალურად. სინამდვილეში ეს რაღაც ლერმონტოვისმაგვარია - “გადაიხლართნენ ადამიანები, ცხენები”. ამ ველოსიპედების ბოროდინოებში გამარჯვებული ხდება ის, ვინც არასდროს გაცვლის თავისი მტვრევადი მანქანის საჭეს გიტარაზე, მაშინაც კი, როდესაც ეს უკანასკნელი მის საყვარელს ეკუთვნის. კარგი გლადიატორიდან ცუდი ბარდი გამოდის. კუნთები, ეს სიმები არ არის...




## პირადად ამერიკის პრეზიდენტისა და სახელმწიფო მდივნისგან

წერილები კეთილი ჟესტის გამო




ვერა ნეფარიძე

*არც ისე ბევრ აღიარებულ მხატვარს ვიცნობთ საქართველოში, თავისუფალს ყოველგვარი წოდებრივი რეგალიებისგან; მით უმეტეს, იშვიათობაა მათ შორის ისეთის პოვნა, რომელთაც სიცოცხლეში საკუთარი პერსონალური გამოფენისთვისაც კი არ უზრუნიათ; ასეთი გამონაკლისი ქართულ სახვით ხელოვნებაში ესმა ონიანის სახით ვიცით. მის სახელთან კიდევ ერთი იშვიათობაა დაკავშირებული: ქართველი მხატვრის შემოქმედებას კატალოგის სახით, საქართველოში სტუმრად მყოფი შეერთებული შტატების პრეზიდენტი და სახელმწიფო მდივანი გაეცვნენ, ხოლო სამშობლოში დაბრუნებულებმა ესმა ონიანის დას, ირინე ონიანს კეთილი ჟესტის გამო - საჩუქრად ქართველი მხატვრის კატალოგის გადაცემისთვის, სამადლობელი წერილებიც მოწერეს.*

ირინე ონიანმა პირველი გამოხმაურება საპატიო სტუმრებისგან ივნისის დასაწყისში მიიღო. "დიდი მადლობა მშვენიერი წიგნისთვის თქვენი დის ხელოვნების შესახებ. ეს ყოველთვის შემახსენებს ჩემ ვიზიტს პრეზიდენტთან ერთად თბილისში. შეერთებული შტატები საქართველოს აფასებს, როგორც ახლობელს და მჭიდრო პარტნიორს. იმედი მაქვს, რომ ჩვენი ქვეყნები გააგრძელებენ თბილ მეგობრობასა და მნიშვნელოვან თანამშრომლობას. გულწრფელად - კონდოლიზა", - წერს შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი 2 ივნისით დათარიღებულ წერილში. მეორე სამადლობელი ბარათი ადრესატს დაახლოებით ერთი თვის შემდეგ მიუვიდა: "ძვირფასო ირინა, დიდი მადლობა წიგნისთვის. ვაფასებ თქვენ კეთილ ჟესტს. ლორა და მე გისურვებთ ყველაფერ საუკეთესოს", - ამერიკის პრეზიდენტის სამადლობელი წერილი 1 ივლისს იყო შედგენილი. თავად ირინა ონიანისთვის ეს გამოხმაურება არც ისე მოულოდნელი ყოფილა: "მათი საყოველთაოდ ცნობილი თავაზიანობიდან გამომდინარე ვიცოდი, რომ ჩემი მოქმედება უპასუხოდ არ დარჩებოდა".

ცხადია, საჩუქრის გადაცემის მიზანი ეს სულაც არ ყოფილა. ესმა ონიანის და, ქალბატონი ირინე ამ ყველაფერს ამგვარად იხსენებს: "როდესაც შევიტყე, რომ საქართველოში ჯორჯ ბუში და კონდოლიზა რაისი ჩამოდიოდნენ, გადავწყვიტე მათთვის ჩემი დის, ესმა ონიანის კატალოგი მეჩუქებინა". ასეთ ჟესტს ქალბატონი ირინეს მხრიდან ორი მიზეზი ჰქონდა: გამოეხატა საკუთარი დამოკიდებულება ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი მოვლენისადმი და კიდევ ერთხელ ეზრუნა საკუთარი დის შემოქმედების პოპულარიზაციაზე. საამისოდ ალბათ ყველაზე რეალური გზა შეარჩია, როდესაც ამერიკის საელჩოში დარეკა და საკუთარი სურვილი გაანდო ერთ-ერთ თანამშრომელს. ამ უკანასკნელმა ქალბატონ ირინეს კატალოგების საელჩოში მიტანა შესთავაზა. ირინე ონიანმა საპატიო სტუმრებისთვის გამიზნული საჩუქრები საელჩოში მიიტანა, ხოლო ბუშისა და რაისის ვიზიტს ჩვეულებრივად, სატელევიზიო ეთერით ადევნებდა თვალს. პირველი გამოხმაურება კონდოლიზა რაისისგან მიიღო, შემდეგ კი თავად პრეზიდენტისგან. ესმა ონიანის კატალოგი, რომელიც მხატვრის ფერწერულ და ლიტერატურულ (პოეზია, ესსეები) ნამუშევრებს აერთიანებს, გამოცემის დღიდან უამრავ ადამიანს მიუღია სამახსოვროდ და საკადრისი სამადლობელიც დაუმსახურებია მხატვრის დას ამ ჟესტის გამო, მაგრამ ცხადია, მათ შორის განსაკუთრებული მაინც ამერიკის პირველი პირების თავაზიანი რეაქციაა.

კატალოგი ორი წლის წინათ გამოიცა. გამოცემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ესმა ონიანის შემოქმედების გასავრცელებლად. მითუმეტეს, რომ ფართო საზოგადოებითვის სიცოცხლეში მხატვრის ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები ნაკლებად იყო ცნობილი, რადგანაც ავტორი ყოველთვის თავს იკავებდა საკუთარი პერსონალური გამოფენების მოწყობაზე. უფრო სწორად, ამაზე არ ზრუნავდა. "მან იცოდა საკუთარი თავის ფასი; ესმა ჭეშმარიტი იყო", - ამბობს დის შესახებ ქალბატონი ირინე და ახლა თითქმის მარტო ცდილობს ეს ჭეშმარიტება რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა გაიცნოს. ამ მიზნით დაგეგმილია ესმა ონიანის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა უცხოეთში, ხოლო მის სახელოსნოში სახლ-მუზეუმის მოწყობა; ამის მერე, ნავარაუდევია საბავშვო ლექსების კრებულისა და გრაფიკული ნამუშევრების წიგნის გამოცემა.



THE WHITE HOUSE
WASHINGTON

July 1, 2005

Ms. Irine Oniani
Apartment 10
104 David Agmashenebeli Avenue
Tbilisi
Georgia

Dear Irine:

Thank you for the book. I appreciate your kind gesture and thoughtfulness.

Laura and I send our best wishes.

Sincerely,

George W. Bush





# სიცოცხლე ტროასთვის

### არქეოლოგ მანფრედ კორფმანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით

63 წლის ასაკში, რამდენიმე თვიანი ავადმყოფობის შემდეგ, გერმანიის პატარა ქალაქ ოფტერდინგენში, საკუთარ სახლში, 2005 წლის 11 აგვისტოს გარდაიცვალა მსოფლიოში საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებული არქეოლოგი, ტიუბინგენის უნივერსიტეტის პროფესორი, 1988 წლიდან ტროას არქეოლოგიური გათხრების ხელმძღვანელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი, პროფესორი მანფრედ კორფმანი.

მანფრედ კორფმანის გარდაცვალებამ უზომო ტკივილი და მოუშუშებელი ჭრილობა მიაყენა მის კოლეგებს, მოსწავლეებს, მეგობრებსა და უამრავ ადამიანს მთელ მსოფლიოში, რომლებიც მას იაპონიიდან აშშ-მდე და არგენტინამდე იცნობდნენ.

პროფესორი მანფრედ კორფმანი იყო სრულიად გამორჩეული მეცნიერი და პიროვნება. 1980 წელს მან სადოქტორო დისერტაცია დაიცვა და მუშაობა დაიწყო ფრანკფურტის გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის განყოფილებაში, ხოლო შემდეგ გადავიდა ბერლინში და ამავე ინსტიტუტში მუშაობდა ანკარის სამეცნიერო რეფერენტად. 1975-1978 წლებში გათხრებს აწარმოებდა ანატოლიის ადრებრინჯაოს ხანის დემირჩი ჰუიუქის ნამოსახლარზე. 1982 წლიდან კი ის გახდა ტიუბინგენის უნივერსიტეტის პროფესორი, ხოლო 1988 წლიდან დღემდე ხელმძღვანელობდა ტროას საერთაშორისო არქეოლოგიურ გათხრებს.

პროფესორი კორფმანი საქართველოში პირველად 1986 წელს ჩამოვიდა და მოხსენება გააკეთა სიღნაღში არქეოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმზე. ამის შემდეგ მას საქართველოსთან კავშირი არ გაუწყვეტია. 1997-1999 წლებში ის იყო ალაზნის ველის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარის - "დიდი გორას", ხოლო 2000 წლიდან კი კახეთის უდაბნოს ძველი ცივილიზაციის შემსწავლელი საერთაშორისო ექსპედიციის თანახელმძღვანელი გერმანიის მხრიდან. მისი ხელმძღვანელობით ტიუბინგენის უნივერსიტეტში არაერთი სამაგისტრო ნაშრომი და დისერტაცია იქნა დაცული საქართველოსა და კავკასიის წინარე ისტორიული არქეოლოგიის საკითხებზე. 1995 წლიდან ის სისტემატურად იწვევდა ქართველ არქეოლოგებს სამუშაოდ ტროას არქეოლოგიურ გათხრებზე. 1996 წელს, აკადემიის წ/კ კიაზო ფიცხელაურთან ერთად, სიღნაღში ჩაატარა საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი. ჰომეროლოგიის სხვადასხვა საკითხების კვლევასთან დაკავშირებით მჭიდროდ თანამშრომლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტთან. პროფესორ რისმაგ გორდეზიანის მოწვევით, სისტემატურად მონაწილეობდა ამ ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ სიმპოზიუმებსა თუ სხვა ღონისძიებებში. თავისი მხრიდანაც პროფესორი კორფმანი მოხსენებების წასაკითხად ხშირად იწვევდა გერმანიაში ქართველ მეცნიერებს. ამას გარდა, ტიუბინგენის უნივერსიტეტში მასთან არაერთი ქართველი სტუდენტი, ასპირანტი თუ ახალგზრდა მეცნიერი გადიოდა სტაჟირებას. პროფესორი კორფმანი 1996 წელს, სრულიად დამსახურებულად, არჩეული იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრად.



*მანფრედ კორფმანი*

2001 წელს მანფრედ კორფმანის მეცნიერული ხელმძღვანელობით გერმანიის სამ ქალაქში მოეწყო ტროას გამოფენა, რომელსაც 850 ათასი ადამიანი ეწვია. გამოფენა დიდი წარმატებით ჩატარდა და ტროას პროექტს კიდევ ერთი ძალზე მნიშვნელოვანი საყოველთაო აღიარება მოუპოვა. 2002 წელს მანფრედ კორფმანს 60 წელი შეუსრულდა. ამ თარიღის აღსანიშნავად გამოვიდა დიდი გემოვნებით გაფორმებული სამტომეული, სადაც იუბილარის საპატივცემლოდ მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან სხვდასხვა ავტორების სტატიები შევიდა. ავტორების წარმომავლობის გეოგრაფია და სამტომეულში გამოქვეყნებული სტატიების თემატიკა მეტად მრავალფეროვანი და მრავალმხრივია. თვითონ პროფესორ კორფმანის შრომების სია 200 ერთეულს აღემატება. არაფერს ვამბობთ იმ უამრავ მოხსენებაზე, რომლებსაც ის ყოველწლიურად მსოფლიოს სხვასახვა ქვეყნებში მართავდა, ასევე - სამეცნიერო ფილმებზე, რომლებიც ტროას გათხრებზე მისი კონსულტაციებით ყოველ წელს იქმნებოდა.

პროფესორ მანფრედ კორფმანის კვლევისა და მუშაობის ძირითადი პუნქტი ტროა, მისი ისტორია და კულტურა იყო. არ დარჩენილა ტროას ისტორიასთან დაკავშირებული არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც ის არ შეხებოდა და თავისი კომპეტენტური სიტყვა არ ეთქვა. ტროა მისთვის, უპირველეს ყოვლისა, იყო ის მნიშვნელოვანი ადგილი, სადაც ევროპიდან აზიისკენ მიმავალი ერთ-ერთი უმთავრესი გზა იკვეთებოდა. ის გულმოდგინედ სწავლობდა არა მარტო არქეოლოგიურ მონაპოვრებს, არამედ ხეთურ, ეგვიპტურ და სხვა ძველ წყაროებს, რათა უფრო ღრმად და საფუძვლიანად წარმოეჩინა და შეესწავლა ტროას, ზოგადად კი ეგეოსურ-მცირეაზიური რეგიონის ისტორია. ის, რა თქმა უნდა, მონაწილეობდა დისკუსიაში "ტროას ომის" შესახებ, თუმცა ეს არ მიაჩნდა უმთავრეს საკითხად, რადგანაც ამ ომის გარეშეც ტროა კაცობრიობის უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური ძეგლია. ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ტროას კვლევამ პროფესორი კორფმანისა და მისი გუნდის სამუშაოები დაუკავშირა არა მარტო არქეოლოგიას, არამედ ისეთ სპეციალურ დისციპლინებსაც, როგორიცაა ხეთოლოგია, ძველი ისტორია, ინდოგერმანისტიკა და კლასიკური ფილოლოგია. ამ დარგების გარეშე ტროას ისტორიის სრულყოფილი შესწავლა, მხოლოდ არქეოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით, შეუძლებლია.

მანფრედ კორფმანის სახით საქართველომ და ქართულმა არქეოლოგიამ დიდი მეგობარი და დიდი მოამაგე დაკარგა. ბატონ კორფმანის გარდაცვალების გამო ყველანი ღრმად დამწუხრებულნი ვართ. ეს დიდი ადამიანი და დიდი მეცნიერი სამუდამოდ დარჩება მსოფლიო და ქართული არქეოლოგიის ისტორიაში. მისი დიდი საქმეები უკვდავია და მისი მოსწავლეები და მეგობრები მათ აუცილებლად გააგრძელებენ.

**თამაზ გამყრელიძე,**
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი,
საქართველოს ჰუმბოლდტის კლუბის საპატიო პრეზიდენტი

**ჯონი აფაქიძე,**
პროფესორი, საქართველოს ჰუმბოლდტის კლუბის გენერალური მდივანი,
თსუ სოხუმის ფილიალის არქეოლოგიის კათედრის გამგე





შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გამოირჩევი სწრაფი აზროვნებით?
არ გეშინია გამოხატო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემა "ყველაზე ჭკვიანის" მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:

შეავსო ანკეტის ფორმა მშობელთან ერთად.

მოგვაწოდო ინფორმაცია შენს შესახებ, იმ შემთხვევაშიც კი თუ საქართველოს ყველაზე შორეულ კუთხეში ცხოვრობ.

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს !

მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

სახელი, გვარი, მამის სახელი ------------------------------

მისამართი ------------------------------

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ------------------------------

დაბადების თარიღი ------------------------------

სკოლა ------------------------------

კლასი ------------------------------

დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ------------------------------

მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი ------------------------------

მშობლის ან მეურვის ხელმოწერა ------------------------------

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 სექტემბრისათვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოაგზავნეთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე: სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ვაჟა ფშაველას 45, 300077 თბილისი

ბ ლ ა ნ კ ი უ ფ ა ს ო ა








